www.24saati.ge
# 24 საათი
The New York Times International Weekly ყოველ საშაბათს
© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 22 მაისი, 2009 წელი. №112 (2150) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ბაქოში ვიზიტის შედეგები
A4



ირანში საარჩევნო კამპანიამ სტარტი აიღო
A7



კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი "თბილისის წყალი") უპრეცედენტო აქციას იწყებს
A3

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

# დამღლელი დიადი რუსეთი და ევროპელი ლიდერები

დიმიტრი ავალიანი

*საქართველოს თემა ევროპასა და რუსეთს შორის კვლავ მწვავე კამათის საგანი ხდება. ევროკავშირი-რუსეთის მორიგი სამიტი ამჯერად შორეულ აღმოსავლეთში - ხაბაროვსკში მიმდინარეობს. წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, შეხების წერტილები ბრიუსელსა და მოსკოვს შორის ამჯერად თითქმის აღარ არსებობს. საქართველოს გარდა, ევროპა-რუსეთის ურთიერთობებს ენერგეტიკის პრობლემები და მომავალ ჩარჩო-შეთანხმებაზე აზრთა სხვადასხვაობაც ართულებს.*



*ხაბაროვსკის სამიტის მონაწილენი*

AFP ' 2009

გუშინ ხაბაროვსკში რუსეთის პრეზიდენტმა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანას, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუს და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ჩეხეთის პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსს უმასპინძლა.

დმიტრი მედვედევის ევროპელ ლიდერებთან შეხვედრა გუშინ არაფორმალური ვახშმით დაიწყო. შემდეგ მასპინძელმა სტუმრები მდინარე ამურზე გემით გაასეირნა. სამიტის ოფიციალური ნაწილი დღეს დაიწყება.

იმის შესახებ, რომ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი იქნება, რამდენიმე დღის წინ ევროკავშირში რუსეთის ელჩმა ვლადიმირ ჩიჟოვმა დაადასტურა.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სერგეი პრიხოდკოს განცხადებით, რუსეთს ამ თემის განხილვაზე **ალერგია არ აქვს** , თუმცა, მისი თქმით, პრეტენზიები ევროპის მიმართ მოსკოვსაც გააჩნია: **მაგალითად, რა შედეგები მოაქვს სააკაშვილის უპირობო მხარდაჭერას.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# აქციებით კმაყოფილნი და უკმაყოფილონი

## ოპოზიცია პროტესტის კიდევ უფრო გამწვავებას აპირებს

დათო გამისონია

*გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის მხარდამჭერები 12:00 საათზე ვარდების მოედანზე შეიკრიბნენ და, დაპირებისამებრ, საავტომობილო გზების გადასაკეტად მსვლელობა მოაწყვეს. საჯარიმო ავტოსადგომიდან ოპოზიციონერთათვის პატრულის მიერ ჩამორთმეული ავტომობილების დაბრუნების მოთხოვნით, მანიფესტანტებმა მდინარე მტკვრის ორივე სანაპირო გადაკეტეს. ამის შემდეგ დემონსტრანტები თავდაცვის სამინისტროსთან შეიკრიბნენ. ოპოზიციის ლიდერებმა თავდაპირველად მუხროვანის სატანკო ბატალიონში ამბოხის ორგანიზების მცდელობაში ბრალდებულების დაკავება და ერთ-ერთი მათგანის ლიკვიდაცია გააპროტესტეს.*

არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე ათასი მხარდამჭერი გუშინ მტკვრის ორივე სანაპიროზე ირეოდა. ვარდების მოედნიდან დაძრულმა დემონსტრანტებმა თავდაპირველად მარჯვენა სანაპირო გადაკეტეს, ხოლო ოპოზიციის ლიდერების მოწოდების შემდეგ მანიფესტაცია ორ ნაწილად გაიყო და მარცხენა სანაპიროზეც შეძლეს ავტომობილების მოძრაობის პარალიზება.

გუშინდელ საპროტესტო მსვლელობას ლოკალური დაპირისპირებების გარეშე არ ჩაუვლია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სემნების "სეანსი" გრძელდება

გიორგი ასანიშვილი

*ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა დაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკების პოზიციები ოდნავ მაინც დაახლოვოს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. თუმცა, სემნები იმედს არ კარგავს და უკანდახევას არ აპირებს - გუშინ მან არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებთან და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან კონსულტაციების მორიგი სეანსი გამართა. გუშინვე სემნებიმ სახალხო დამცველ სოზარ სუბარისგანაც მიიღო ინფორმაციები.*

ქართულ პოლიტიკურ სპექტრთან შეხვედრებში, სემნებისთან ერთად, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ჩეხეთის ელჩი ივან იესტრჟემბსკიც მონაწილეობს. ევროპელი დიპლომატების განმარტებით, ისინი შუამავლები კი არ არიან, არამედ პოლიტიკურ ოპონენტებს მხოლოდ რჩევებს აძლევენ.

**განსახილველი საკითხები იგივეა - დიალოგის დაწყება და, მინიმუმ, იმის განხილვა, თუ როგორი უნდა იყოს თამაშის წესები. კონსტიტუცია, არჩევნები, მედია - ამ თემებზე სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ, რათა შევქმნათ საფუძველი სიტუაციის დარეგულირებისთვის,** - ასე წარმოუდგენია საკუთარი მისია პიტერ სემნების. ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ "კონკრეტული შედეგები მოგვიანებით აუცილებლად იქნება". როგორც სემნები აცხადებს, "თბილისში მიმდინარე მოვლენებში გარკვეული პროგრესი და პერსპექტივები უკვე შეინიშნება."

გაგრძელება A2 გვერდზე

## ბათუ ქუთელიამ ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელები გადასცა

საქართველოს ელჩმა აშშ-ში ბათუ ქუთელიამ აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელები გადასცა.

ქუთელიას განცხადებით, ობამამ რწმუნებათა სიგელების გადაცემის შემდეგ განაცხადა, რომ აშშ და პირადად ის მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.

"პრეზიდენტმა ობამამ აღნიშნა, რომ საქართველო "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დემოკრატიული განვითარებისკენ მიმავალ უპრეცედენტო გზას დაადგა," - აცხადებს ქუთელია.

ელჩის თქმით, "პრეზიდენტმა ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხოლო აშშ აქიტურად დაეხმარება საქართველოს უსაფრთხოების დაცვაში."

ამერიკის პრეზინდეტმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა "საქართველოში დემოკრატიასა და უსაფრთხოებას მომავალშიც დაიცავს და ამ მხრივ საქართველო რეგიონში მისაბაძი ქვეყანა უნდა გახდეს". "ობამამ ასევე აღნიშნა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ დემოკრატიის განვითარებისკენ უპრეცედენტო სვლა დაიწყო და დაადასტურა, რომ აშშ საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება," - განაცხადა ქუთელიამ. **პირველი**

## გიორგი ბარამიძემ და მათიას ეორშმა საქართველოში შექმნილი ვითარება განიხილეს

საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და უნგრეთის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მათიას ეორშმა საქართველოში შექმნილი ვითარება განიხილეს.

როგორც სახელმწიფო კანცელარიაში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი ბარამიძემ განაცხადა, საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისა და საქართველოსა და უნგრეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებს. "კერძოდ, ჩვენ ევროკავშირის ახალი ინიციატივის "აღმოსავლეთის პარტნიორობის" საკითხებზე ვისაუბრეთ. ასევე განვიხილეთ, თუ როგორ გამოვიყენოთ უფრო ეფექტიანად ეს მექანიზმი, რათა ევროკავშირს უფრო სწრაფად დავუახლოვდეთ," - განაცხადა ბარამიძემ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ასევე გამახვილდა ყურადღება ევროკავშირის აქტიურ ჩართვაზე საქართველოს დეოკუპაციის პროცესში, თავისუფალი ვაჭრობისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხებში. **პირველი**

## ნიკა გილაურს იმედი აქვს, რომ პოლიტიკური პროცესების დიალოგის ფორმატში გადანაცვლების შემდეგ ეკონომიკური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ამაღლდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს იმედი აქვს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები დიალოგის ფორმატში რაც შეიძლება მალე გადაინაცვლებს და ეკონომიკური მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად ამაღლდება. "შიდა პოლიტიკურმა დაძაბულობამ ურაყოფითი ზეგავლენა იქონია ქართულ ეკონომიკაზე. პირველი კვარტლის მონაცემები დადებითი იყო, შემდეგი მონაცემები კი უკვე უარყოფითი," - განუცხადა ჟურნალისტებს გილაურმა, რომელიც გუშინ 9 ბიზნესასოციაციის მიერ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას დაესწრო.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ბიზნესმენთა ახალი გაერთიანების შექმნა ხელს შეუწყობს მთავრობასა და ბიზნესსექტორს შორის მჭიდრო ურთიერთობას. "ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ ბიზნესმენებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაშიც. ჩვენ გვაქვს დიდი მხარდაჭერა დონორი ორგანიზაციების მხრიდან. გარდა ამისა, მთავრობას დამატებითი სტიმულირების პაკეტი აქვს შემუშავებული, რომელზეც მუშაობა გაწერილ დროში დაიწყება," - განაცხადა გილაურმა. **პირველი**

# აქციებით კმაყოფილნი და უკმაყოფილონი

პირველი გვერდიდან

ავტომობილებით მოძრავ რამდენიმე მოქალაქესა და მომიტინგეებს შორის ურთიერთშელაპარაკების რაოდენობამ განსაკუთრებით გალაკტიონის ხიდის გადაკეტვის შემდეგ იმატა. უკმაყოფილო მძღოლები საავტომობილო გზის გადაკეტვას აპროტესტებდნენ. მიუხედავად ამისა, აქციის მონაწილეებმა ორივე სანაპირო, დაახლოებით ერთი საათით გადაკეტეს.

საგზაო მოძრაობის გადაკეტვის გამო გაჩერებული ავტომანქანების მძღოლთა ნაწილი მომიტინგეებს სოლიდარობას სიგნალით უცხადებდა. მოგვიანებით საავტომობილო მოძრაობის შეფერხების გამო ოპოზიციის ლიდერებმა განმარტებები გააკეთეს. ალიანსი საქართველოსთვის თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ აღნიშნა, რომ **ჩვენ საერთოდ არ ვაპირებდით ასე გამწვავებას, რადგან იმედი გვქონდა, რომ ხელისუფლება მიმდინარე მოვლენებიდან დასკვნებს გამოიტანდა, თუმცა მაინც არაადეკვატურად მოქმედებენ. ამიტომ ხელისუფლება კიდევ უფრო მწვავე აქციებს მიიღებს** . გამყრელიძემ იმ მოქალაქეებსაც მიმართა, რომლებიც საავტომობილო გზების გადაკეტვას აპროტესტებდნენ. **ვინც ოპოზიციის გვერდით არ დგას, ჩვენთან უნდა დადგეს, რათა იბრძოლონ სამართლიანი საქართველოსთვის. ჩვენ არ ვიბრძვით საკუთარი თავისთვის, არამედ ვიბრძვით ქვეყანაში სტაბილურობისა და სამართლიანობისთვის,** - განაცხადა მემარჯვენეების ლიდერმა.

ამის შემდეგ დემონსტრანტებმა თავდაცვის სამინისტროს შენობასთან გადაინაცვლეს. ოპოზიციის ლიდერების ეს გადაწყვეტილება გამთენიისას ჩატარებულმა სპეცოპერაციამ განაპირობა, რომლის შედეგად მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარი ამბოხის მცდელობაში ერთ-ერთი ბრალდებული გია კრიალაშვილი დაიღუპა. მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ სპეცოპერაციას ავტორიტარული რეჟიმის მძაფრი გამოხატულება უწოდა, ხოლო კონსერვატორების ლიდერ ზვიად ძიძიგურის თქმით, **ამ ამბოხების ვითომდა მონაწილეები პოლიტიკურ სცენარს შეეწირენ** .


AFP ' 2009

თავდაცვის სამინისტროსთან გამართული საპროტესტო მიტინგის შემდეგ ოპოზიციის ლიდერებმა მხარდამჭერებს 18:00 საათზე კვლავ რუსთაველის გამზირზე შეკრებისკენ მოუწოდეს. პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას ალიანსი საქართველოსთვის წევრმა მანანა ნაჭყებიამ შეკრებილ მოქალაქეებს დღის განმავლობაში გამართული აქციების შედეგების შესახებ აცნობა. **ოპოზიციის აქტივისტებისა და ლიდერებისთვის ჩამორთმეული ავტომანქანების დაბრუნების პროცესი დაიწყო. ნათელია, რომ საზოგადოების ერთად ყოფნამ თავისი შედეგი უკვე გამოიღო,** - განაცხადა ნაჭყებიამ.

### რეგიონული ტურნე

მას შემდეგ, რაც ბათუმში მომღერალმა უცნობმა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა მრავალრიცხოვანი აქცია-კონცერტი გამართეს, ლიდერების ნაწილი საპროტესტო მიტინგის გასამართად ზუგდიდში გაემგზავრა, ხოლო უცნობი , მხარდამჭერებთან ერთად, ქუთაისისკენ გაემართა.

**ბათუმში იგივე საპროტესტო მუხტია, რაც დედაქალაქში. ბათუმელები ფეხით მოდიან თბილისში, რათა შეუერთდნენ 26 მაისს დაგეგმილ გრანდიოზულ მიტინგს. ჩვენ ასლან აბაშიძემ ვერ გაგვტეხა და ამას, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილიც ვერ შეძლებს,** - განაცხადა ალიანსი საქართველოსთვის წევრმა დავით ბერძენიშვილმა.

ბათუმისგან განსხვავებით, ზუგდიდში გამართულ საპროტესტო მიტინგზე არსებული განწყობით უკმაყოფილონი არიან არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები. **პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ მე 7-8 წლამდე ზუგდიდში ვიზრდებოდი, რადგან ბაბუაჩემი ენგურჰესის პირველი დირექტორი იყო. ვაჟკაცობა ამ ქალაქში ვისწავლე და ამას დღეს აქ ნამდვილად ვერ ვხედავ,** - აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ.

ზუგდიდის შემდეგ ოპოზიციონერებმა მსვლელობა ქუთაისისკენ მოაწყვეს. თავის მხრივ, ოპოზიციის მხარდამჭერები ქუთაისში ოპოზიციის ესკორტს დავით აღმაშენებლის მოედანზე დახვდნენ. მიტინგი ეროვნული ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ გახსნა. აქციის მონაწილეების მოლოდინის მიუხედავად, მშობლიურ ქალაქში ჩასვლა ვერ შეძლო პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. სიტყვით გამოსვლები, დაახლოებით, ერთ საათს გაგრძელდა, ამის შემდეგ კი სპეციალურად დამონტაჟებული სცენა მომღერალმა უცნობმა დაიკავა. ტელეგადაცემა საკანი №5 -ის წამყვანი საპროტესტო ტურნეს დასრულებას 26 მაისს, თბილისში აპირებს. უცნობი ეროვნულ სტადიონისკენ მცხეთიდან გამთენიისას, მხარდამჭერებთან ერთად გამოემართება.

# სემნების "სეანსი" გრძელდება

პირველი გვერდიდან

მისივე თქმით, სიტუაციის განმუხტვა ორივე მხარეს სურს, თუმცა განსხვავება არის მეთოდოლოგიაში, ხოლო ვითარების სტაბილიზირებას, სემნების აზრით, დრო სჭირდება. დიპლომატი იმედოვნებს, რომ კომპრომისები მოიძებნება.

თავის მხრივ, ივან იესტრჟემბსკიც მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მიმდინარე პროცესში ყველაზე მთავარი დიალოგი და შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებებია.

**დიალოგი საუკეთესო გამოსავალია. ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა შეძლონ მოლაპარაკებების დაწყება და შეთანხმების მიღწევა, რაც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას შეუწყობს ხელს,** - აცხადებს ჩეხეთის ელჩი საქართველოში.

სასტუმრო თბილისი მარიოტში" სემნებისა და იესტრჟემბსკისთან გუშინ გამართულ შეხვედრას არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებიდან მხოლოდ დავით უსუფაშვილი, ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი ესწრებოდნენ. რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის თქმით, ევროპელ დიპლომატებთან საუბრის თემატიკა, საქართველოში არსებულ ვითარებასთან ერთად, საგარეო პოლიტიკის (ჟენევის კონსულტაციები და გაერო-ს შუალედური რეზოლუცია) საკითხებსაც მოიცავდა.

საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით კი, ის ქართულ არმიაში მიმდინარე პროცესებით არის შეშფოთებული და ევროკავშირის წარმომადგენელს სწორედ ამის შესახებ ესაუბრა. ზურაბიშვილი კატასტროფულს უწოდებს დღეს ქართულ ჯარსა და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს. **ეს ორი უმნიშვნელოვანესი სფერო ნადგურდება,"** - მიიჩნევს საქართველოს გზის ლიდერი.

ევროპელ დიპლომატებთან შეხვედრებისგან არსებით შედეგებს არ ელოდება პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

**ვხედავთ, რომ ეს ხელისუფლება თავად ევროკავშირის მოთხოვნებსა და შენიშვნებს არ ითვალისწინებს,** - აცხადებს ექს-სპიკერი.

რაც შეეხება სახალხო დამცველს, სოზარ სუბარი პიტერ სემნების ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიებაში სთხოვს დახმარებას.

**დღემდე უცნობია, ვინ სცემა პოლიციის განყოფილებაში რევაზიშვილს, ვაჩნაძეს და ონიანს. შეუსწავლელია ის დარღვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 9 აპრილის შემდეგ საქართველოში,"** - აღნიშნავს სუბარი, რომლის თქმითაც, საერთაშორისო საზოგადოება არის ის ერთადერთი ბერკეტი, რომელსაც შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს ხელისუფლებაზე და აიძულოს ის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები გამოიძიოს.

პიტერ სემნებიმ შეხვედრების გუშინდელი ციკლი პარლამენტის თავმჯდომარესთან საათნახევრიანი მოლაპარაკებებით დაასრულა, რომლის შემდეგაც დავით ბაქრაძეს კომენტარი არ გაუკეთებია.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# დამღლელი "დიადი რუსეთი" და ევროპელი ლიდერები

პირველი გვერდიდან

პრიხოდკოს თქმით, **ოპოზიციურმა მოძრაობამ** (საქართველოში) **მისი პოლიტიკის მიუღებლობა ნათელი გახადა .**

როგორც ჩანს, ევროკავშირის წარმომადგენლები მოსკოვს სარკოზი-მედვედევის გეგმის შეუსრულებლობას შეახსენებენ.

საქართველოს საკითხში მხარეების აზრები სრულიად განსხვავებულია, შესაბამისად, კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი იქნება, - აღნიშნავს რუსული გაზეთი კომერსანტი . ევროკავშირი კვლავაც მოითხოვს საერთაშორისო დამკვირვებელთა შესვლას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ამის საპასუხოდ კი რუსეთი კვლავ იმ არგუმენტს მოიშველიებს, რომ სეპარატისტული რეგიონები დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და დამკვირვებელთა ყოფნის საკითხს თავად გადაწყვეტენ.

გამოცემა ვარაუდობს, რომ რუსული მხარე ევროპას საქართველოს წინააღმდეგ სანქციების შემოღებას მოსთხოვს - მაგალითად, იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს სახით. ევროპელები კი განმარტებებს მოითხოვენ რუსეთის მიერ უკანონო სამხედრო ბაზების მშენებლობაზე.

საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერის განცხადებით, **"საქართველო ის საკითხია, რომელზეც მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ".**

მისი თქმით, **"აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ევროკავშირი არასდროს აღიარებს, თუმცა ამის მიუხედავად, ღია და კონსტრუქციული დიალოგი რუსეთთან ბევრი პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს".**

**"რუსეთთან თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რუსეთთან პარტნიორობა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთს ყველა საკითხში ვეთანხმებით,"** - განაცხადა ფერერო-ვალდნერმა.

მეორე მტკივნეული თემა რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში ენერგეტიკაა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა იანვრის გაზის ომის შემდეგ, როდესაც რუსეთ-უკრაინის უთანხმოების მიზეზით მილიონობით ევროპელი ზამთარში გაზის გარეშე დარჩა.

**არ ვარ დარწმუნებული, რომ იმ ევროპულმა ოჯახებმა, ვინც ამ ზამთარს იყინებოდა, ეს დაივიწყეს. გაზის კრიზისმა წლის დასაწყისში შეარყია ნდობა რუსეთისადმი, როგორც მომწოდებლისადმი და უკრაინისადმი, როგორც სანდო სატრანზიტო ქვეყნისადმი. ამგვარი სიტუაციები მომავალში თავიდან უნდა ავიცილოთ,** - განაცხადა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა გაზეთ კომერსანტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ნაბუკოს ალტერნატიული გაზსადენის პროექტის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული.

კრემლს, თავის მხრივ, სამიტისთვის ენერგეტიკის დარგში საკუთარი წინადადებები აქვს მომზადებული, **ენერგეტიკის სფეროში ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზისადმი კონცეპტუალური მიდგომის** სახით. ამ დოკუმენტში საუბარია საერთაშორისო ბაზრებზე ენერგორესურსების დაუბრკოლებელი ტრანზიტისა და მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

თუმცა, კომერსანტის ინფორმაციით, ევროკავშირის ლიდერები უკვე მზად არიან, რუსეთის პრეზიდენტი უარით გაისტუმრონ. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ბრიუსელში არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა მხოლოდ ენერგეტიკულ ქარტიას დაეფუძნება. გარდა ამისა, საგანგებოდ სამიტისთვის ევროკომისიამ **სატრანზიტო რისკების წარმოშობის წინასწარ შეტყობინების მექანიზმი** მოამზადა.

საერთაშორისო ენერგეტიკულ ქარტიას 90-იან წლებში რუსეთმა ხელი მოაწერა, თუმცა დღემდე მისი რატიფიცირება არ მოუხდენია. დღეს მოსკოვში ამ დოკუმენტს **მკვდარს** და **მოძველებულს** უწოდებენ. ქარტია ენერგეტიკულ ბაზარზე ყველასათვის სავალდებულო ერთიან წესებს და სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორთა სრულ თანასწორობას ითვალისწინებს, რაც კრემლს ხელს არ აძლევს.

საქართველოს საკითხმა და ენერგეტიკულმა პრობლემებმა, ფაქტობრივად, უკანა პლანზე გადაწია ევროკავშირსა და რუსეთს შორის ახალი ჩარჩო-შეთანხმების გაფორმების საკითხი. მოლაპარაკება ახალი შეთანხმების შესახებ გასული წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის გამო შეწყდა და 2009 წლის დასაწყისში ისევ განახლდა. თუმცა მხარეებს შორის აზრთა სხვადასხვაობამ აქაც იჩინა თავი. რუსული მხარის სურვილია, მომავალი დოკუმენტი მხოლოდ ჩარჩოს სახეს ატარებდეს, ხოლო ევროკავშირს მასში რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმების ჩადება სურს.

რაიმე გარღვევას ხაბაროვსკის სამიტისგან არავინ ელის, შეხვედრაზე არც რაიმე დოკუმენტების მიღება იგეგმება. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტს კმაყოფილების ერთი საბაბი მაინც აქვს. როგორც დმიტრი მედვედევმა შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, მართალია, ევროპელი სტუმრები შორეულ აღმოსავლეთში მგზავრობით დაიღალნენ, თუმცა, **მათ რუსეთის სიდიადე იგრძნეს .**

თუმცა, ბი-ბი-სი -ს სამიტის ჩატარების ადგილის სხვა დასაბუთება მოჰყავს: **ზოგიერთები ამაში ხედავენ მასპინძლების სურვილს, აჩვენონ არა მხოლოდ რუსეთის სიდიდე, არამედ ისიც, რამე რომ მოხდეს, სხვა პარტნიორების** (მეზობელი ჩინეთის) **მოძებნაც შეუძლიათ.**

## ილია მეორე: განსაცდელი, რომელშიც ახლა საქართველო იმყოფება, სიხარულით შეიცვლება

21 მაისს მართმადიდებელი ეკლესია წმინდა მოციქულის იოანე ღვთისმეტყველის ხსენების დღეს აღნიშნავს. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით ტაძრებში საღმრთო ლიტურგია ჩატარდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კი წირვა ყოვლად წმინდა სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა. ტაძარში მისულ მორწმუნეებს ნაკურთხი პური დაურიგეს.

მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქადაგებაში მრევლს სიყვარულისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ყველგან და ყოველთვის სიყვარულს ქადაგებდა. "იოანე ღვთისმეტყველს უფალი ჯვარცმის დროსაც არ მიუტოვებია და ღვთისმშობელთან ერთად იდგა მაშინ, როდესაც უფალი შიშისაგან ყველამ მიატოვა. მას არ ეშინოდა არც სიკვდილის, არც განსაცდელის, რადგან უფლის განსაკუთრებული ერთგულება ჰქონდა. იოანე ღვთისმეტყველს სიყვარულის მქადაგებელს უწოდებენ. იგი ყოველთვის სიყვარულს ქადაგებდა. თქვენ რომ წაიკითხოთ მისი სახარება, ეპისტოლეები, ყველგან სიყვარულს ქადაგებს. გიყვარდეთ ერთმანეთი," - განაცხადა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, "როგორც შეუძლებელია, ადამიანმა განსაზღვროს ღმერთი, ასევე შეუძლებელია, აიხსნას, თუ რა არის სიყვარული. როცა ადამიანს ღმერთი უყვარს, მას უყვარს სამშობლოც, ადამიანებიც და მზად არის, თავისი სიცოცხლე სხვებს შესწიროს". ქართველი ადამიანი სიყვარულით არის დაჯილდოებული და უფალი დაგვეხმარება. სიხარულის შედეგია სიყვარული. თუ ადამიანში სიხარული არ არის, მას სიყვარული არ ექნება. გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს და ვთხოვ უფალ ღმერთს, აღავსოს საქართველო და მთელი ქვეყანა სიხარულით. დღევანდელ დროში სიყვარულმა იკლო, ყველაზე მეტი დეფიციტი სწორედ სიყვარულის ნაკლებობაა და რაც ჩვენ გარშემო ხდება, სწორედ ამის შედეგია. განსაცდელი, რომელშიც ახლა საქართველო იმყოფება, სიხარულით შეიცვლება. ღვთისმშობლის და წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ლოცვებით ყოველივე რაც ხდება საქართველოში, მშვიდობიანად დასრულდება, - ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. **საკუთარი ინფორმაცია**


## კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი "თბილისის წყალი") უპრეცედენტო აქციას იწყებს

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** (ყოფილი "თბილისის წყალი") 2009 წლის 20 მაისიდან იწყებს კომუნალური მომსახურების სფეროში უპრეცედენტო აქციას - მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით დაგროვილი **დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერად მასშტაბურ პროგრამას**.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** ითვალისწინებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს და დავალიანების მქონე მოსახლეობას სთავაზობს ორმაგად შეღავათიან რესტრუქტურიზაციას შემდეგი პირობებით:

- პროგრამის მონაწილე ყოველ მომხმარებელს (აბონენტს) კომპანია გაუკეთებს საჩუქარს - ჩამოაწერს დავალიანების საერთო თანხის 20%-ს.
- დავალიანების საერთო თანხის 20% ჩამოეწერება მხოლოდ იმ აბონენტებს, რომლებიც კომპანიას 2009 წლის 30 ივნისის ჩათვლით მიმართავენ განცხადებით.
- დავალიანების დარჩენილი თანხა (20 პროცენტის გამოკლებით) პროგრამის მონაწილეს გაუნაწილდება 3 წლის (36 თვე) განმავლობაში;
- დავალიანების რესტრუქტურიზაცის თაობაზე კომპანია ყოველ აბონენტთან გააფორმებს ინდივიდუალურ შეთანხმებას.
- პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, ყოველთვიურად, დავალიანების ნაწილთან ერთად, მოხმარებული წყლის მიმდინარე გადასახადის სრულად დაფარვა.
- პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა.

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერად პროგრამაში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს (მოსახლეობა), რომელსაც მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით გარკვეული დავალიანება დაუგროვდა.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** მიმართავს მოსახლეობას, გამოიყენოს მის მიერ შეთავაზებული ხელსაყრელი წინადადება და ჩაერთოს შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში. თავის მხრივ, კომპანია სამომავლოდ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რათა მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობამ არ შეაფერხოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოდერნიზაციის სამუშაოები. აღნიშნული, გულისხმობს იმასაც, რომ ძველი დავალიანებების რესტრუქტურიზაცია და მათი ეტაპობრივად და დროულად გადახდა სავალდებულო ხდება როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ყველა სხვა კატეგორიის მომხმარებლისთვის.

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში ჩართვის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" **(GWP)** რაიონულ ოფისებს, მიმდინარე წლის 30 ივნისის ჩათვლით, შემდეგ მისამართებზე:

1. მარჯანიშვილის გამზ. N 50 - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ოფისი;
2. ვ. ბარნოვის I ჩიხი, N10 - მთაწმინდა-კრწანისის რაიონული ოფისი;
3. ნუცუბიძის ქ. N 14? - ვაკე-საბურთალოს რაიონული ოფისი;
4. ჯავახეთის ქ. N22 - ისან-სამგორის რაიონული ოფისი;
5. მეტრო ახმეტელის მიმდ. ტერიტორია, მუხიანისკენ გადასახვევ გზაზე - გლდანი-ნაძალადევის რაიონული ოფისი.

*კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP)*
*საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*



### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო აცხადებს აღმასრულებლისა და კერძო აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდას

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 (ოცდაერთი) წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია იწარმოებს 2009 წლის 26 მაისიდან 2009 წლის 9 ივნისის ჩათვლით, **ყოველდღე 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.**

**მისამართი:** ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ N1;

საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

**a) განცხადება აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შესახებ (ივსება ადგილზე);**

**b) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი დანართთან ერთად;**

**გ) ავტობიოგრაფია;**

**დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**

**ე) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4;**

**ვ) გამოცდაში მონაწილეობისათვის კანონით დაწესებული საფასურის - 200 (ორასი) ლარის აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.**

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საბანკო რეკვიზიტები:
**ს.ს "საქართველოს ბანკის" ც.ფ**
**ა/ა 593 807 600;**
**ბ/კ 220 101 502.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:**
ტელ: (+995 32) 745 165; (+995 32) 745 285; (+995 32) 749 886.
**ან ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს**
www.nbe.gov.ge

### ჯეიმს აპატურაი: საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების მიმართ ალიანსის პოზიცია უცვლელია

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ცოტა ხნის წინ გერმანიის ყოფილ კანცლერ გერჰარდ შროდერის განცხადებას გამოეხმაურა. აპატურაის თქმით, საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების მიმართ ალიანსის პოზიცია უცვლელია. გერჰარდ შროდერმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებაზე უარის თქმა ალიანსსა და რუსეთს შორის ურთიერთობას გამოასწორებდა. "ალიანსის წევრი არც ერთი ქვეყანა ამ პოზიციას არ იზიარებს. ბუქარესტის სამიტზე მირებული გადაწყვეტილება უცვლელია და მას მხარი გერმანიის მოქმედმა კანცლერმა უკვე დაუჭირა," - განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ. მისივე თქმით, ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა ელჩების დონეზე 27 მაისს ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ჯონ ტეფტი: მედვედევი-სარკოზის დოკუმენტი რუსეთის მხრიდან არ სრულდება

აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი აცხადებს, რომ მედვედევი სარკოზის დოკუმენტი რუსეთის მხრიდან არ სრულდება. ეს განცხადება ტეფტმა გუშინ საელჩოში გამართულ პრესკონფერენციაზე იმ კითხვის პასუხად განაცხადა, რომელიც შეეხებოდა აშშ-ს პოზიციას რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ სამხედრო აგრესიაზე. კითხვაზე - აშშ მიიჩნევს თუ არა რეალურად რუსეთის მხრიდან ომის განახლების საფრთხეს და ხომ არ დაისმება ეს საკითხი ობამა მედვედევის შეხვედრაზე ან ამ შეხვედრის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი რომელ ნომრად არის გათვალისწინებული, ტეფტი დიპლომატიურად პასუხობს. "რაც შეეხება ობამას და მედვედევის შეხვედრას და ამ შეხვედრის დღის წესრიგს, ნება მომეცით, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემს შეფს დავუთმო, ვინაიდან შეხვედრის წინ ამ საკითხზე თავად ამერიკის პრეზიდენტი ისაუბრებს" - აცხადებს ტეფტი და განმარტავს, რომ მას ამ საკითხზე თავის პრეზიდენტთან საუბარი არ ჰქონია. რაც შეეხება რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ სამხედრო აგრესიას, აღსანიშნავია, რომ ტეფტი კონკრეტულ პასუხს არ იძლევა. "ჟენევის შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩვენი წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებენ, რომ რუსეთის მხრიდან ირღვევა მედვედევი-სარკოზის დოკუმენტი," - აცხადებს ტეფტი და დასძენს, რომ ამერიკული მხარე აქტიურად თანამშრომლობს ევროპელ კოლეგებთან, რათა შემუშავდეს გარკვეული მექანიზმები ამ დოკუმენტის შესასრულებლად. "ჩვენი პოზიცია არაერთხელ გაჟღერებულა და კიდევ ვიმეორებ, რომ ცეხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმების ყველა პუნქტი უნდა შესრულდეს, რაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხდება," - განაცხადა ჯონ ტეფტმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ჯონ მაკკეინი: "უნდა გვახსოვდეს, რა მოხდა აგვისტოში საქართველოში, რადგან ეს იყო უძლიერესი დარტყმა დემოკრატიაზე"

ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინის განცხადებით, "უნდა გვახსოვდეს, რა მოხდა აგვისტოში საქართველოში, რადგან ეს იყო უძლიერესი დარტყმა დემოკრატიაზე". ეს განცხადება მაკკეინმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გააკეთა, რომელზეც ქართველებმა არიზონელი სენატორი დააჯილდოვეს.

მიღება რასელის სენატის შენობაში გაიმართა. სიტყვით ჯონ მაკკეინიც გამოვიდა. მან ქართველებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ "ამერიკა საქართველოსთან მეგობრობით ამაყობს".

"ამერიკა აუცილებლად უნდა დარჩეს საქართველოს გვერდით, რადგან ეს ქვეყანა ჩვენი უერთგულესი მეგობარია. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ ხშირად მსოფლიო ისტორია სწორედ პატარა სახელმწიფოებში იქმნება, აქედან გამომდინარე კი, უნდა გვახსოვდეს, რა მოხდა საქართველოში, რადგან ეს იყო უძლიერესი დარტყმა დემოკრატიაზე", - განაცხადა მაკკეინმა.

ქართულ-ამერიკული ბიზნესსაბჭოს ხელმძღვანელი მამუკა წერეთელი კი აცხადებს, რომ "სხვა კანდიდატურა არც განხილულა, რადგან აგვისტოს ომის დროს საქართველოს მიმართ მაკკეინის მხარდაჭერა განსაკუთრებული იყო."

ალნიშნული მხარდაჭერისთვის ჯონ მაკკეინს სახსოვრად საქართველოსთან დაკავშირებული რამდენიმე სუვენირიც გადასცეს. **პირველი**

# ბაქოში ვიზიტის შედეგები

*საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი თავის კოლეგა ილჰამ ალიევთან პირისპირ მოლაპარაკებით დაიწყო. გუშინ სააკაშვილი აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრ არტურ რასიზადეს და აზერბაიჯანის მილიმეჯლისის სპიკერ ოქტაი ასადოვს შეხვდა. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაღრმავების საკითხები და ის პროექტები, რომლებსაც ბაქო და თბილისი ერთობლივად ახორციელებენ. გუშინვე, ვიზიტის დასრულების შემდეგ, ბაქო-ბათუმის პირველი საჰაერო რეისი შესრულდა. მისი საპატიო მგზავრები მიხეილ სააკაშვილი და მინისტრთა კაბინეტის წევრები იყვნენ.*


AFP ' 2009

ვიზიტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი გაფორმდა. ხელი მოეწერა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ სამთავრობოთაშორისო შეთანხმებაში ცვლილებებს, ასევე ცვლილებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებულ დოკუმენტში.

**საბოლოოდ გადაწყდა, რომ დაიწყება ჩქაროსნული რკინიგზის მშენებლობა, რომელიც საქართველოზე გაივლის. მივაღწიეთ შეთანხმებას გაზსაცავის საკითხზე. საქართველოსთვის ეს პროექტი სტაბილური გაზმომარაგების გარანტია. გაზსაცავის პროექტს ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში განვიხილავდით ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან, თუმცა გადაწყდა, რომ ჩვენ მას უცხოელების დახმარების გარეშე, ერთად ავაგებთ. რაც შეეხება ბაქო-თბილისის დამაკავშირებელ მაგისტრალს, თქვენი მხრიდან გზა თითქმის საზღვრამდე მოყვანილია, ისევე როგორც ჩვენი მხრიდან. უახლოეს მომავალში მაგისტრალი ბაქოს და ბათუმსაც დააკავშირებს. მნიშვნელოვანი თემაა ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანაც, რომელიც საქართველოს და აზერბაიჯანს მისცემს საშუალებას, ელექტროენერგიის ექსპორტირება მოახდინონ,** - განაცხადა სააკაშვილმა აზერბაიჯანის პრემიერთან შეხვედრისას.

მიხეილ სააკაშვილმა დიდი მადლიერება გამოხატა აზერბაიჯანული მხარის მიმართ ამ ზამთარს მოწოდებული გაზის გამო: **დიდი მადლობა, რომ თქვენი დახმარებით ზამთარი უპრობლემოდ გავატარეთ, მადლობას გიხდით, რომ მომავალი 5 წლის განმავლობაში აზერბაიჯანული მხარე ჩვენ სტაბილურად დაბალ ფასად მოგვაწვდის გაზს,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა არტურ რასიზადემ საქართველოს დახმარებისთვის მზადყოფნა ქვეყნის სახელით გამოთქვა. **საქართველოსა და აზერბაიჯანს ისტორიული მეგობრობა აკავშირებთ. პროექტები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნები ერთობლივად ახორციელებენ, ძალზე მნიშვნელოვანია. ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში საქართველოს შეუძლია მოგვმართოს,** - განაცხადა აზერბაიჯანის პრემიერმა.

როგორც აზერბაიჯანის მილიმეჯლისის სპიკერმა ოქტაი ასადოვმა პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა, აზერბაიჯანი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან. ასადოვის თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უნდა გამყარდეს. **კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გვაერთიანებს, ეს არის კონფლიქტური ტერიტორიები,** - დასძინა აზერბაიჯანის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა. ოქტაი ასადოვმა იმედი გამოთქვა, რომ კონფლიქტური საკითხები მშვიდობიანი გზით და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვით მოგვარდება.

ბაქო-ბათუმის პირველი რეისი გუშინ აზერბაიჯანულმა ავიაკომპანიამ შეასრულა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია ბაქო-ბათუმის საჰაერო რეისის ამოქმედებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. **ეს ნიშნავს, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის კიდევ ერთი საჰაერო ხიდი გაიდო. აჭარასთან კიდევ უფრო გააქტიურდება ურთიერთობები არა მხოლოდ ტურისტული, არამედ ეკონომიკური და სავაჭრო თვალსაზრისითაც,** - აღნიშნა ჟვანიამ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# აშშ საქართველოს დახმარებას აგრძელებს

სალომე ძაძამია

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის 53.3 მილიონი აშშ დოლარის გადმოცემის შესახებ განაცხადა. ეს არის დაპირებული 1 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს, აღადგინოს ეკონომიკა და გააგრძელოს აღმშენებლობა.

53.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დახმარების პაკეტი ეკონომიკური დახმარების ფონდის (ESF) მეშვეობით გამოიყო, რომელიც კონგრესმა დაამტკიცა 2008 წლის კატასტროფების შემდგომი დახმარებისა და აღდგენისათვის განკუთვნილი დამატებითი ბიუჯეტის საკანონმდებლო აქტის მეშვეობით. ამ ფონდებს გამოიყენებენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პრიორიტეტულ სექტორებში პროგრამების განსახორციელებლად, რაც მოიცავს ჰუმანიტარული დახმარებისა და ეკონომიკის ხელშეწყობის მრავალსექტორულ პროგრამას საქართველოში.

ESF-ის ფონდის დახმარებით შემდეგი პროგრამები განხორციელდება:

**- კარგი მმართველობა, სამოქალაქო თანამონაწილეობა და არჩევნებისა და მედიის რეფორმა - 20.000.000 აშშ დოლარი**

**- ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა და ეკონომიკის სტიმულირება - 18.153.000 აშშ დოლარი**

**- ჯანდაცვა, განათლება და სოციალური მომსახურება - 8.000.000 აშშ დოლარი**

**- საზღვრის დაცვა, ტერორიზმის საფრთხის აცილება და კანონაღსრულების რეფორმა - 5.965.000 აშშ დოლარი**

**- ჰუმანიტარული დახმარება - 1.200.000 აშშ დოლარი**

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი: **ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა იმის გამოცხადება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს დახმარებას. უკვე გამოიყო 53.3 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც ეკონომიკური სტაბილურობის და ადრე მიღწეული ეკონომიკური წარმატებების აღდგენისთვის არის განკუთვნილი. აშშ კვლავ რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მომხრე, მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის, საერთაშორისო ინსტიტუტებში ინტეგრაციის, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების და სტაბილურობის მხარდამჭერი. 53.3 მილიონი აშშ დოლარი განკუთვნილია აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებული პირების დასახმარებლად, დემოკრატიული რეფორმების განსახორციელებლად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის, სასამართლო დამოუკიდებლობის და კანონის უზენაესობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული თანხა გამჭვირვალედ იქნება გამოყოფილი, ჩვენს საიტებზე განთავსდება ინფორმაცია მათი მიზნობრიობის შესახებ, რითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს ექნებათ საშუალება, შეამოწმონ თანხების გახარჯვის მიზნობრიობა.**

შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზეც ისაუბრა.

**მივესალმებით პრეზიდენტ სააკაშვილის და მისი გუნდის შეხვედრას ოპოზიციასთან. ჩვენ გვესმის, რომ მათ აქვთ განსხვავებული ხედვები, მაგრამ დიალოგი არის ერთადერთი გზა პრობლემების დაძლევისა. ასეთი იყო ჩვენი განცხადება 9 აპრილამდე და იმავეს გავიმეორებ დღესაც,** - აღნიშნა ტეფტმა.

# SCHNEIDER ELECTRIC-ი საქართველოში

ლიკა ჯობაძე

საქართველოს ენერგობაზარზე ფრანგული კომპანია Schneider Electric-ი შემოვიდა. კომპანიის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" შედგა, თუმცა Schneider Electric-ი ქართულ ბაზარზე 2008 წლის სექტემბრიდან მუშაობს. კომპანია ელექტროენერგიის დისტრიბუციით არის დაკავებული. გარდა ამისა, ის მომხმარებელს, ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით, კომპლექსურ გადაწყვეტილებებს სთავაზობს.

საქართველო ელექტროენერგიის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყანაა, ამიტომ უსაფრთხო, საიმედო და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ენერგოსისტემა ესაჭიროება. საქართველოში კომპანია Schneider Electric-ის წარმომედგენლობის ხელმძღვანელი არტურ გრიშანი აცხადებს, რომ საქართველოს ენერგოსისტემის განახლება და თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფა აუცილებელია. თანამედროვე ენერგოარქიტექტურისთვის მოწყობილობებსა და კომპლექსურ გადაწყვეტილებებს ქართულ ბაზარს Schneider Electric-ი მიაწვდის. **"კომპანია Schneider Electric-ი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუშაობს, ახლა უკვე საქართველოშიც შემოვიდა. ჩვენ ქართულ ენერგობაზარზე დიდი პერსპექტივები გვაქვს და ვფიქრობთ, რომ ჩვენი საქმიანობა ამ ბაზრის განვითრებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ჩვენი კომპანიის განწყობა ძალიან დადებითია. ჩვენ ქართულ ბაზარს ენერგომომარაგებისა და ენერგოუსაფრთხოების სრულიად ახალ სისტემას ვთავაზობთ, რაც ენერგოსისტემის ყველა ელემენტის ერთ სისტემაში - "LON"-ში (Local perating network) ინტეგრირებას მოიაზრებს. უფრო კონკრეტულად კი ამ შემთხვევაში შენობების ენერგომომარაგება ერთი სადისპეტჩერო პულტიდან იმართება. ჩვენი კომპანია აქტიურად მუშაობს პარტნიორებისა და დისტრიბუტორების ქსელის გაფართოებაზე; ვადგენთ ფასებს ქართული ბაზრისთვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში მრავალი ჰიდრო ელექტროსადგურია და ბევრიც შენდება. ჩვენ მათ თანამედროვე მოწყობილობებს ვთავაზობთ, რომლებიც პროდუქციის მიღებისა და ექსპორტის ხარისხს ზრდის."** - აცხადებს არტურ გრიშანი.

კომპანია Schneider Electric-ის ისტორია 1836 წლიდან იწყება, მაშინ როცა საფრანგეთის პატარა ქალაქ კრეზოში ძმებმა შნეიდერებმა პატარა ქარხანა დააარსეს. ახლა კი Schneider Electric-ი უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიაა. ის ელექტროენერგიის დისტრიბუციისა და სამრეწველო ავტომატიცაზიის სეგმენტში ლიდერია. მას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობა და ბაზარზე სტაბილური ადგილი უჭირავს.

ალსანიშნავია ისიც, რომ კომპანია მუდმივად ატარებს ტრეინინგებს, სადაც Schneider Electric-ის წარმომადგენლები კომპანიის საქმიანობის შესახებ ყვებიან. ერთი ასეთი ტრეინინგი უკრაინაში ჩატარდა. მსგავსი ღონისძიება მომავალში საქართველოშიც იგეგმება.

საქართველოში კომპანიის ოფიციალური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის განმარტებით, პროდუქციაზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდია. **"მომხმარებელი იცნობს ჩვენს პროდუქციას და უპირატესობას Schneider Electric-ს სწორედ ამიტომაც ანიჭებს. ჩვენი კომპანია პროდუქციის, ხარისხისა და ფასის ბალანსს წარმოადგენს. კომპანია საქართველოში ახლახანს შემოვიდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ დიდხანს დავრჩებით."** - აღნიშნავს არტურ გრიშანი.

საქართველოში კომპანია chneider Electric-ის მსხვილი პარტნიორები არიან "თელასი", ენერგოპრო" და "ქართუ ჯგუფი".

# საქართველოს რკინიგზაზე" ტვირთების ნაკადმა იკლო

მანანა ვარდიაშვილი

საქართველოს რკინიგზაზე" ტვირთბრუნვამ იკლო. მარტის მონაცემებთან შედარებით, მაისში ტვირთების გადაზიდვები დაახლოებით 35 პროცენტით შემცირდა. შევრონმა" საქართველოს რკინიგზის" მეშვეობით ყაზახეთიდან ნავთობის გადაზიდვა მთლიანად შეაჩერა. მეორე მსხვილმა კომპანია ექსონმა" კი საკუთარი ტვირთების ნაკადი 80 პროცენტით შეამცირა. საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, რომ გადაზიდვების ასეთი კლების ფონზე ახალი დაკვეთების განხორციელებას ველარ შეძლებენ. კომპანიის მესვეურები ტვირთბრუნვის ასეთ მნიშვნელოვან კლებას პოლიტიკურ განცხადებებს უკავშირებენ.

ამ თემაზე საქართველოს რკინიგზაში" გუშინ სპეციალური ბრიფინგი გაიმართა. მიუხედავად ჩვენ მიერ არაერთხელ გაკეთებული განცხადებისა, რომ ფრთხილად მოვკიდებოდით რკინიგზის ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში, ბოლო დროს გახშირდა განცხადებები რკინიგზის გადაკეტვის თაობაზე. გაიჟღერა აფეთქების გეგმამაც. ბუნებრივია, გადამზიდავი კომპანიები სათუთად ეკიდებიან ასეთ განცხადებებს. შესაბამისად, სახეზეა ისეთი ძლიერი კომპანიების მხრიდანაც კი, როგორებიც არიან შევრონი" და ექსონი", გადაზიდული მოცულობების შემცირება ან მათი საერთოდ მოხსნა საქართველოს მიმართულებიდან.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს რკინიგზა არის საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. საქართველოს რკინიგზაში ანაზღაურებას იღებს 15 500 ადამიანი. თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური პაკეტით. ამასთან ერთად, რკინიგზის დაკვეთებით გაწეული მომსახურება ქმნის 30 000-ზე მეტ სამუშაო ადგილს. რკინიგზის გამართულად მუშაობაზეა დამოკიდებული დასაქმებული ადამიანების ბედი, რომ არაფერი ვთქვათ დასაქმებული კომპანიების მიერ მიღებულ შემოსავალზე.

მიუხედავად რუსული აგრესიისა და ეკონომიკური კრიზისისა, 2008 წელს საქართველოს რკინიგზამ" საქართველოს ბიუჯეტში გადასახადების თუ დივიდენდების სახით 110 მილიონი ლარის მობილიზება მოახდინა. ამასთან ერთად, 2008-2009 წლებში საქართველოს რკინიგზამ" ბევრი სხვა რკინიგზისგან განსხვავებით 15 500 თანამშრომლის შენარჩუნების გადაწყვეტილება მიიღო. საშუალო დღიური გადაზიდვის დინამიკა დღეისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

ოქტომბერი, 2008 - 55 0000
იანვარი, 2009 - 30 000
მარტი, 2009 - 50 000
აპრილი, 2009 - 40 000
მაისი, 2009 - 27 000



ნათელია, რომ კრიზისს კავშირი არ აქვს მაისში შემცირებულ გადაზიდვებთან. მარტის განმავლობაში რკინიგზამ შეძლო მიეღწია კრიზისის დაწყებამდე არსებულ მოცულობებამდე.

გადაზიდვების დინამიკა მიუთითებს, რომ მიმდინარე წლის მარტის თვესთან შედარებით, მაისის გადაზიდვები 35 პროცენტით არის შემცირებული. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ამ მოცულობების პირობებში რკინიგზა ვერ შეძლებს დაკვეთების განხორციელებას და იძულებული იქნება, თანამშრომლების ნაწილის დათხოვნის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს. ეს გადაწყვეტილება შემოსავლის გარეშე დატოვებს 35 000 ჩვენს თანამოქალაქეს.

ჩვენ შეშფოთებას გამოვთქვამთ არსებული ვითარების გამო. მოვუწოდებთ ყველას, რომ ან თავი შეიკავონ ასეთი განცხადებებისაგან, ან სრულად გაიზიარონ პასუხისმგებლობა სამსახურიდან განთავისუფლებული 35 000 ჩვენი თანამოქალაქის წინაშე," - განაცხადა საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ.

საქართველოს რკინიგზის" გადაზიდვის ძირითადი ტვირთების სიაში შედის: ნავთობი, რკინის მადანი, მარგანეცი, ქიმიური და მინერალური სასუქები და სამშენებლო მასალები. მგზავრთა ნაკადის რაოდენობა დაახლოებით 3,6 მილიონი ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რკინიგზას" დოტაციური მიმართულებებიც აქვს (სამგზავრო გადაზიდვები), მთლიანობაში ის მაინც რენტაბელურია. სარკინიგზო გადაზიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2006 წელს 112 მილიონი დოლარი შეადგინა. გასულ წელს კომპანიამ ბიუჯეტში 100 მილიონ ლარზე მეტი შეიტანა. წელს კი საბიუჯეტო შენატანების სახით 81 მილიონი ლარის მობილიზება იყო დაგეგმილი.

საქართველოს რკინიგზა" შავ და კასპიის ზღვებს შორის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიაა და ის ევროპას ცენტრალურ აზიასთან უმოკლესი გზით აკავშირებს. საექსპლოატაციო ხაზის სიგრძე 1324,1 კილომეტრია. აქედან 1245,6 კმ. ელექტროფიცირებულია. აქვს ორი სარკინიგზო-საპორტო გადასასვლელი: უკრაინასთან (ბათუმი-ილიჩევსკი, ფოთი-ილიჩევსკი) და რუსეთთან (ფოთი-კავკაზი). რკინიგზაში" 15 500 ადამიანია დასაქმებული. ტვირთბრუნვის დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:




# მთავრობისა და ბიზნესის ურთიერთშეთანხმებული მოქმედება

ნინო ნატროშვილი

საქართველოში მოქმედმა 9 ბიზნესასოციაციამ დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ამერიკის სავაჭრო პალატის, საფრანგეთის ბიზნესსაბჭოს, ნავობპროდუქტების იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციის, საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაციის, საქართველოს ბანკების ასოციაციის, საერთაშორისო ასოციაცია "ბიზნესი და პარლამენტისა" და ისრაელ-საქართველოს ბიზნესპალატის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

აღნიშნული ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ დააფუძნონ არაფორმალური გაერთიანება, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო მიზნების და ამოცანების უფრო ეფექტურ განხორციელებას და სტაბილური ბიზნესგარემოს შექმნას. ახალი გაერთიანება რეგულარულად გამართავს კონსულტაციებს საქართველოს მთავრობასთან, რათა უზრუნველყოს იმ რეფორმების წარმატებული განხორციელება, რომლებიც ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს აღდგენას შეუწყობს ხელს. გაერთიანებაში გაწევრიანება ნებისმიერ ბიზნესორგანიზაციას შეუძლია. ამასთან, მის ნებისმიერ წევრს შეუძლია, ისარგებლოს ვეტოს უფლებით.

გაერთიანება თანათავმჯდომარეობის პრინციპით იმართება. მასში ყველა წევრი ხმის თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ორგანიზაციის წევრთა შეხვედრები საჭიროსამებრ გაიმართება, ხოლო მნიშვნელიოვანი ინფორმაციის გაცვლა რეგულარულად იგეგმება.

ბიზნესმენთა შეხვედრას სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაურიც დაესწრო. მან მემორანდუმის გაფორმება დადებითად შეაფასა და დასძინა, რომ ეს გაერთიანება ხელს შეუწყობს მთავრობასა და ბიზნესს შორის ურთიერთობების გამარტივებას. "მთავრობა მზად არის, ყველა ბიზნესს უშუამდგომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან",-აღნიშნა გილაურმა.

ძსაქართველოში ახლა მთავრობისა და ბიზნესის ურთიერთშეთანხმებული მოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია" - ამის შესახებ ბიზნესასოციაციებთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. Mისი თქმით, ამ ეტაპზე ქვეყანაში ეკონომიკა არც ისე ჯანსაღ მდგომარეობაშია და მიუხედავად იმისა, რომ პირველი კვარტლის მონაცემები საკმაოდ იმედისმომცემი იყო, შიდა დაძაბულობამ გავლენა ეკონომიკაზე მაინც მოახდინა.

"აპრილი-მაისის მონაცემები არც ისე დამაიმედებელია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მთავრობას შემუშავებული აქვს რეფორმების დამატებითი, გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების სტიმულირების პაკეტი, რომელთან დაკავშირებითაც ბიზნესასოციაციებთან გაიმართება კონსულტაციები და შემუშავდება დროში გაწერილი გეგმა", - განაცხადა გილაურმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ეს გეგმა უკვე ჩამოყალიბებულია და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ბიზნესს მაქსიმალურად დაეხმაროს, რათა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა გაიზარდოს. "ჩვენ დიდი მხარდაჭერა გვაქვს დონორი ორგანიზაციებისგან, როგორც ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან, ისე, აზიის განვითარების ბანკიდან, ამერიკიდან, USIDსგან", - განაცხადა მინისტრმა.

გილაურის თქმით, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება, ზოგი უკვე დაწყებულია.

მისივე ინფორმაციით, სავარაუდოდ, ზაფხულის თვეებში ეკონომიკური აქტივობის მიხედვით დადებითი იქნება და თუ დიალოგიც დაიწყება და შიდაპოლიტიკური პრობლემები ჩაწყნარდება, ეს კიდევ განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ეკონომიკური აქტივობის გაზრდას და ინვესტიციების მოზიდვას.

## მტკვარში, რუსთავის ჰესთან, ორი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გუშინ დილით, დაახლოებით 07:30 საათზე, მტკვარში, რუსთავის ჰესთან ორი მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

როგორც საგანგებო სიტუაციათა სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ გიორგაძემ განაცხადა, ნაპოვნი ორივე ცხედარი ოჯახის წევრებმა ამოიცნეს. ერთ-ერთი მათგანი 11 მაისს მტკვარში ავტომანქანით გადავარდნილი ვალერი ხუნაშვილია, მეორე კი 7 მაისს გადამხტარი სამი მამაკაციდან ერთ-ერთი - გიორგი ფანჯიკიძე.

შეგახსენებთ, რომ ვალერი ხუნაშვილის ავტომანქანა 11 მაისს სანაპიროზე მოძრაობისას ჯერ ხეს შეეჯახა, შემდეგ ამოტრიალდა და მტკვარში გადავარდა. სამი ახალგაზრდა მამაკაცი კი მტკვარში 7 მაისს გადახტა. მათგან ერთს - 30 წლის გელა ტურაშვილს ამ დრომდე ეძებენ, ხოლო 28 წლის ედუარდ რეშეტოვის ცხედარი მომხდარიდან მეორე დღესვე იპოვეს.

**პირველი**

## პატიმრობა პირობითი მსჯავრით შეეცვალათ

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით განსასჯელები ზურაბ მაღრაძე და ზურაბ სირაძე პატიმრობიდან სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდნენ და მათ პირობითი მსჯავრი განესაზღვრათ.

ბრალდების მიხედვით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მაღრაძემ და სირაძემ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს დაზარალებულებს ცარციძეს და ლაზარიშვილს, მათ ავტომანქანის მინა ჩაუმსხვრიეს.

ბრალდების მხარე, მცირე ჯგუფურად ჩადენილი ხულიგნობისა და სხვისი მოძრავი ქონების დაზიანებისთვის, განსასჯელებისთვის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა, თუმცა სასამართლომ გაითვალისწინა განსასჯელების მიერ დანაშაულის გულწრფელი აღიარება. ასევე გაითვალისწინა ის, რომ მათ დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურეს.

სასამართლომ გაითვალისწინა ისიც, რომ ორივე განსასჯელი სოციალურად დაუცველთა ფენას განეკუთვნებოდა. მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით, მათ თავისუფლების აღკვეთა სამი წლით პირობითი მსჯავრით შეეცვალათ და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ლონდონის პოლიცია ბათუმელ ნატა გალოგრეს ეძებს

ლონდონის პოლიცია ქართველ დიპლომატს, ბათუმელ ნატა გალოგრეს ეძებს. ნატა გალოგრე სარფის საბაჟო სამსახურის ყოფილი უფროსის ოლეგ გალოგრეს ქალიშვილია.

დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომელს განაჩენი ლონდონის სასამართლომ გუშინ გამოუტანა და მასზე ძებნა ოფიციალურად გამოაცხადა. ინგლისელი სამართალდამცველების ინფორმაციით, ნატა გალოგრემ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს 54 წლის ველოსიპედისტი მამაკაცი მოკლა და მიიმალა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ლონდონის სასამართლო განაჩენის შესახებ პირველ განმარტებებს აკეთებს. ქართველი დიპლომატების განცხადებით, ავარიის დროს ნატა გალოგრე საქართველოს საელჩოს თანამშრომელი აღარ იყო.

ინციდენტი ლონდონში 2005 წლის 11 მარტს მოხდა. ბრიტანელი სამართალდამცველების ინფორმაციით, საქართველოს საელჩოს თანამშრომელი "ლენდროვერის" მარკის ავტომანქანას დიდი სიჩქარით მართავდა. ის ველოსიპედისტს დაეჯახა და ადგილიდან მიიმალა. 34 წლის ნატა გალოგრე ლონდონში სხვა სახელით და გვარით ცხოვრობდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ბაკურ მოლაშვილს ლავიწის ძვლის ოპერაცია ჩაუტარეს

სამართალდამცველების მიერ ნაცემ 14 წლის ბაკურ მოლაშვილს ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ლავიწის ძვლის ოპერაცია ჩაუტარეს.

როგორც ბაკურ მოლაშვილის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, ნაცემ ბავშვს რკინის ფიქსატორის ჩადგმა დასჭირდა და სავარაუდოდ, სამი თვის შემდეგ მორიგი სამედიცინო ჩარევა კვლავ დასჭირდება.

6 მაისს 53-ე სკოლის მოსწავლე, 14 წლის ბაკურ მოლაშვილი და მისი სამი მეგობარი პოლიციელების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ყველაზე მეტად დაზარალდა ბაკური, რომელიც იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში ლავიწის ძვლის მოტეხილობით და მრავალჯერადი დაზიანებებით გადაიყვანეს.

ბაკურ მოლაშვილი შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნის, სულხან მოლაშვილის შვილია, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ დააპატიმრეს. სულხან მოლაშვილის გათავისუფლება მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის უშუალო ჩარევით გახდა შესაძლებელი.

**პირველი**

# სპეცოპერაციის დეტალები

ხათუნა ბიბაური

*მუხროვანის სატანკო ბატალიონის ამბოხის ორგანიზატორობაში ბრალდებული ძებნილი სამხედროების გია კრიალაშვილის, კობა ოთანაძისა და ლევან ამირიძის დაკავების სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა.*
*სამართალდამცველების მიერ გლდანში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ადგილზე გარდაიცვალა გია კრიალაშვილი, დაჭრილი კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე კი დაკავებულები არიან და ღუდუშაურის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ექიმების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილები ხელოვნურ სასუნთქ აპარატზე არიან შეერთებული, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სიცოცხლესთან შეუთავსებელი არ არის.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იკობა ოთანაძე, ლევან ამირიძე და გია კრიალაშვილი ამბოხის მოწყობის მცდელობის შემდეგ, თბილისში, სხვადასხვა ადგილას იმალებოდნენ. **ძებნილები იქცეოდნენ საკმაოდ ფრთხილად და შეზღუდული ჰქონდათ კონტაქტი მათთვის ნაცნობ ყველა ადამიანთან. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი თავს აფარებდნენ სოფელ ცხვარიჭამიაში არსებული აგარაკების მიმდებარე ტერიტორიას,"** - განმარტავენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

სამინისტროს ინფორმაციით, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დადგინდა, რომ ჯგუფი აპირებდა, მიკროავტობუსით თბილისი დაეტოვებინა და სოფელ წინაგარას გავლით რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასულიყო.

**"სწორედ თბილისის ტერიტორიის დატოვების მცდელობის დროს შსს-ს მიერ ჩატარებულ იქნა სპეცოპერაცია ძებნილთა დასაკავებლად, რა დროსაც მათ პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმხრივი სროლის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა გია კრიალაშვილი, დაიჭრნენ კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე, რომლებიც დაკავებული და გადაყვანილ იქნენ საავადმყოფოში. დაკავებულებს სხვადასხვა ნივთებთან ერთად, თან აღმოაჩნდათ იარაღი, ფულადი თანხა 3 700 აშშ დოლარის ოდენობით, 4 ცალი მობილური ტელეფონი და რამდენიმე ათეული სიმბარათი,"** - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

სპეცოპერაცია დაახლოებით ღამის 10 საათსა და 30 წუთზე ჩატარდა. თვითმხილველთა თქმით, სროლა თითქმის 15 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

კრიალაშვილს, ოთანაძეს და ამირიძეს სამართალდამცველები მუხროვანის ამბოხის დღიდან, 5 მაისიდან ეძებდნენ. სამივე მათგანის ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაციის მიმწოდებლისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თავდაპირველად, ჯილდოდ 50-50 ათასი ლარი დააწესა, მოგვიანებით კი კობა ოთანაძის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებლისთვის ეს თანხა 200 ათას ლარამდე გაზარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მუხროვანის სატანკო ბატალიონის ამბოხებულ ჯარისკაცებს მინიმუმ ნატო-ს სამხედრო სწავლების ჩაშლა და მაქსიმუმ, სახელმწიფო გადატრიალება ჰქონდათ განზრახული. მუხროვანის ამბოხთან დაკავშირებით, ამბოხის დღესვე, 10 სამხედრო მოსამსახურე და 13 სამოქალაქო პირი პირი დააკავეს, რომელთა ჩვენებებიც შსს-მ მეორე დღესვე გაავრცელა.

მუხროვანის ამბოხიდან ერთი კვირის თავზე, სამართალდამცველებმა ძებნილი კობა ოთანაძის ძმა ნუგზარ ოთანაძე დააკავეს და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, ცნობილი გახდა, რომ კობა ოთანაძის მეორე ძმა, ჯიმშერ ოთანაძე, მისი მეუღლე და 19 წლის ვაჟი, რომლებიც ორი დღის წინ დააკავეს, სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს. გათავისუფლებამდე, ჯიმშერ ოთანაძისა და მისი ოჯახის წევრების ადგილსამყოფელის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა. რაში იყვნენ ისინი ეჭვმიტანილები და სად ჰყავდათ სამართალდამცველებს, გუშინ გახდა ცნობილი. ცნობილია ისიც, რომ რომ ჯიმშერ ოთანაძე და მისი ოჯახის წევრები გლდანში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ გაათავისუფლეს.

**მუხროვანის ინციდენტის შემდეგ ძებნილი კობა ოთანაძის ოჯახის წევრებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება,** - აცხადებს ოთანაძეების ინტერესების დამცველი ონისე მებონია. გათავისუფლებული ჯიმშერ ოთანაძის თქმით კი, მასთან და მის ცოლ-შვილთან ერთად, სამართალდამცველებს "მოდულის" შენობაში ოთანაძეების 11 ნათესავი ჰყავდათ დაკავებული და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა.

ადვოკატ ონისე მებონიას განცხადებით, **"ეს იყო კობა ოთანაძის ოჯახის წევრების მძევლად აყვანა და ამით ძებნილის დაშანტაჟება"**.

სატანკო ბატალიონში მომხდარი ამბოხის ორგანიზებაში ეჭვმიტანილების დაკავების სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, გუშინ მთელი დღის განმავლობაში, თბილისის სხვადასხვა ქუჩაზე მოწყობილი საპროტესტო მსვლელობისას თუ მიტინგზე, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამდნენ.

**"ამ ადამიანების მიმართ განაჩენი არ არის გამოტანილი, ისინი ჯერ დამნაშავეებად არ ითვლებიან, სწორედ უდანაშაულო ადამიანის ლიკვიდაცია განხორციელდა. ამ და ყველა მსგავს ფაქტზე სრული პასუხისმგებლობა ვანო მერაბიშვილს ეკისრება. კრიალაშვილის ლიკვიდირება ხელისუფლებამ თავისი უსაფრთხოების მიზნით მოახდინა. კრიალაშვილის მოკვლით, დანარჩენი, ვითომდა ამბოხის მონაწილეები დააშინეს. შესაძლოა, მალე საავადმყოფოში მყოფი ოთანაძის სიკვდილის ამბავიც შევიტყოთ, რადგან ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, ეს ადამიანები თავიდან მოიშოროს. მუხროვანის სამხედრო ამბოხების ორგანიზებაში ეჭვმიტანილები იმისთვის დააკავეს, რომ მათ სიმართლე არ ეთქვათ. ეს ოპერაცია დემოკრატიული ქვეყნის სტანდარტებს არანაირად არ შეესაბამება. სპეცოპერაციის მთავარი მიზანი ეჭვმიტანილის დაკავება უნდა იყოს და არა მისი ლიკვიდაცია. მსხვერპლით დასრულებული სპეცოპერაცია ქვეყნის სისუსტესა და წარუმატებლობაზე მეტყველებს. სწორედ იმის გამო, რომ სპეცოპერაციის შედეგად ერთი დაიღუპა, დაჭრილების მდგომარეობა კი მძიმეა, შესაძლოა, მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარი ამბოხი ბურუსით მოცული დარჩეს,** - ასეთ, ერთნაირი შინაარსის განცხადებებს აკეთებდნენ გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრები.

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

***ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა განათლება. ამ კუთხით სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და დღეს ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შევიმუშავებთ სწავლების კონკრეტულ სტრატეგიულ გეგმას, რომელსაც სექტემბრიდან ჩვენს დაწესებულებებში განვახორციელებთ,"*** *- ეს განცხადება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მის უწყებასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შემდეგ გააკეთა.*

თანამშრომლობის დოკუმენტს ხელი მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა მოაწერეს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების განათლების მიღებას. მის ფარგლებში დაგეგმილია დისტანციური სწავლების დანერგვა, საჯარო ლექციების ჩატარება და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება.

როგორც მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა განაცხადა, ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ თვალსაზრისით სასჯელაღსრულების სისტემისთვის სწავლების სხვადასხვა ფორმისა და საგანთა ფართო სპექტრის შეთავაზება შეუძლია. რექტორის განმარტებით, უნივერსიტეტში თავის დროზე დაუსწრებელი სწავლების სისტემა მოქმედებდა, რომელიც ამჟამად ტრანსფორმაციას განიცდის და ე.წ. დინსტანციური სწავლება იგეგმება. უნივერსიტეტში ასევე საერთაშორისო სასწავლო პროგრამების ადაპტაციას და ათვისებას აპირებენ. მოქმედებს თეოლოგიის ცენტრი, სადაც ტარდება საჯარო ლექციები, რომელსაც მოწვეული სპეციალისტები უძღვებიან.

არჩილ ფრანგიშვილის განცხადებით, სწავლების ამ და სხვა ფორმებს უნივერსიტეტი სასჯელაღსრულების სისტემას შესთავაზებს. როგორც დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, მისი უწყების მიზანია არა მხოლოდ ადამიანის დასჯა, არამედ ის, რომ საზოგადოებას ყოფილი პატიმრის სახით სრულფასოვანი მოქალაქე დაუბრუნონ. ამის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კი პატიმრისათვის კონსტიტუციური უფლების - განათლების მიღების შესაძლებლობის მიცემაა.

**პატიმრებს ბევრი თავისუფალი დრო აქვთ, რომელსაც რაციონალურად გამოყენება სჭირდება. ეს დრო კი უმთავრესად განათლების მიღებას უნდა მოხმარდეს,** - განაცხადა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# პასუხი "გაერთიანებულ ტელეკომს"

"გაერთიანებული ტელეკომის" წარმომადგენლები რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იმ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან, რომლითაც "გაერთიანებულ ტელეკომს" "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისთვის" სატელეფონო წყვილებით მომსახურების უფლება აეკრძალა. სამწუხაროდ, "გაერთიანებულმა ტელეკომმა" თავისი უფლების დაცვის "მომგებიან" პოზიციად არა ზემდგომ ინსტანციაში კანონიერი გასაჩივრება, არამედ სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი ბრალდებების მედიით ტირაჟირება არჩია. საკუთარი აზრის და პოზიციის დაფიქსირების უფლება ხელშეუხებელია და სასამართლო თავად არის ამ უფლების დამცველი, მაგრამ სასამართლოსა და მოსამართლის შეურაცხმყოფელი ფრაზებით მოხსენიება წახალისებული და მოწონებული არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არის. სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყნებში მხარეები საკუთარ პოზიციას მხოლოდ სასამართლო დარბაზში იცავენ, და როცა ამ პოზიციას არ ეთანხმებიან, მაშინ გასაჩივრებისთვის ზემდგომ ინსტანციას მიმართავენ. "გაერთიანებული ტელეკომის" წარმომადგენელი ასევე აცხადებს, რომ ისინი მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის მოთხოვნით მიმართავენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების და იუსტიციის საბჭოსადმი მიმართვა სამართლებრივი ბრძოლის კანონიერი გზაა, ხოლო, როცა უკმაყოფილო მხარე სასამართლოს დისკრედიტაციით მოსამართლეზე ზეწოლას ცდილობს, ასეთი საქციელით, მიზნის მიღწევა დღევანდელ სასამართლოში წარმოუდგენელია.

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური*

# ირანში საარჩევნო კამპანიამ სტარტი აიღო

მარიკა იაშვილი

ირანში 12 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია დაიწყო. საკონსტიტუციო სასამართლომ ისლამური სახელმწიფოს პრეზიდენტობის კანდიდატთა სია დაამტკიცა. საარჩევნო კამპანიის სტარტს უკვე პირველი სკანდალებიც მოჰყვა: ოპოზიციური პარტიების კანდიდატები აცხადებენ, რომ მოქმედი პრეზიდენტი აჰმადინეჯადი ღარიბებისთვის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის განხორციელებით მათ მოსყიდვას ცდილობს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლს ირანში მეთვალყურეთა საბჭო ასრულებს, რომელიც ექვსი სასულიერო პირისა და ექვსი იურისტისგან შედგება. პრეზიდენტობის 475 კანდიდატიდან, რომელთაგან 42 ქალია, საბჭომ მხოლოდ 4 დაარეგისტრირა: ამჟამინდელი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი, ექს-პრემიერი ჰოსეინ მუსავი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე მეჰდი ქარუბი და ისლამისტური რევოლუციის დაცვის კორპუსის ყოფილი მეთაური მოჰსენ რეზაი.

მოქმედი პრეზიდენტის მთავარ მეტოქედ მუსავი სახელდება, რომელიც ირანის მთავრობას 1981-1989 წლებში მეთაურობდა. თავის თავს ის "რეფორმისტს და 1979 წლის ისლამური რევოლუციის პრინციპების ერთგულს" უწოდებს. რეფორმისტად, თუმცა თავშეკავებულად, მიიჩნევს თავს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ქარუბიც. მოჰსენ რეზაი ოთხეულში ყველაზე სუსტ პოლიტიკოსად მოიაზრება.



*აჰმადინეჯადს სამი კონკურენტი ეყოლება*

AFP ' 2009

სამი ოპოზიციური კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანია მთლიანად ამჟამინდელი პრეზიდენტის კრიტიკაზეა აგებული. მას ადანაშაულებენ ბრძოლის უუნარობაში უმუშევრობასა და ინფლაციასთან, რომელმაც უკვე 27 პროცენტს მიაღწია. გარდა ამისა, ოპონენტები აჰმადინეჯადს დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭებაშიც სდებენ ბრალს. მოქმედი პრეზიდენტი არ უყვარს დედაქალაქს, ინტელიგენციას, სტუდენტებს, მაგრამ სოფლებსა და მოსახლეობის ღარიბ ფენებში ის პოპულარულია, რადგან მათ ჯერ კიდევ ახსოვთ, რომ ის მჭედლის შვილია და ქურდი არასდროს ყოფილა.

მუსავი ეროვნულ საზოგადო ცხოვრებაში ემიგრანტების დაბრუნების ინიციატივით გამოდის და პირობას დებს, რომ მომავალ მთავრობაში ქალებსაც ჩართავს. გარდა ამისა, ის იყენებს თავის საყვარელ თეზისს "ადამიანური ღირსებების შესახებ," რომელიც ნიშნავს, რომ **"ადამიანები ფასდებიან მათი ჰუმანურობის და არა მათი ნათესაური, ეროვნული და ენობრივი კუთვნილების მიხედვით."**

მისი მემარჯვენე ოპონენტი მოჰსენ რეზაი "მესამე გზის" მომხრეა, რომელიც "ჩავარდნილი ეკონომიკური პოლიტიკის" დასრულებას და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლას გულისხმობს. **"ირანის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკის არამდგრადობა პროვოკაციაზეა დაფუძნებული: ის, რაც აჰმადინეჯადის გამოსვლებში ჟღერს, რევოლუციის იდეალებზე დაფუძნებულ ჩვენს საგარეო პოლიტიკას ავანტიურისტებისთვის განკუთვნილ სარისკო თავგადასავლად აქცევს,"** - აცხადებს რეზაი.

რაც შეეხება ირანის ბირთვულ პროგრამას, რეზაი ურანის გამდიდრების საკითხში აშშ-სთან, ევროპასა და რუსეთთან თანამშრომლობის მომხრეა. მისი აზრით, თუ ისლამური რესპუბლიკა ამას საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გააკეთებს, ისრაელს აღარ ექნება საბაბი, რომ თავისი მუქარა შეასრულოს და ირანს სამხედრო დარტყმა მიაყენოს.

ძალიან ბევრ საკითხში მსგავსი პოზიცია აქვს ექს-სპიკერ მეჰდი ქარუბისაც, რომელიც მთავარ აქცენტს დასავლეთთან აუცილებელ დიალოგზე აკეთებს. ის მოჰამედ ჰათამის ერთ-ერთი უახლოესი მომხრე იყო. ჰათამი ირანის პრეზიდენტის პოსტს 1997-2005 წლებში იკავებდა და დასავლეთში "ირანელი გორბაჩოვის" სახელით იყო ცნობილი. 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამარცხების შემდეგ კი ქარუბი სახელმწიფო სამსახურიდან წავიდა და ახალი პარტია "ეროვნული ნდობა" ჩამოაყალიბა.

აჰმადინეჯადის ოპონენტები მას ამომრჩეველთა მოსყიდვაში ადანაშაულებენ. მუსავიმ და რეზაიმ განაცხადეს, რომ სოფლის მასწავლებლებისა და ღარიბებისთვის 500 ათასი და 1 მილიონი რეალის ღირებულების ჩეკების დარიგებით, რაც, დაახლოებით, 50 და 100 აშშ დოლარის ეკვივალენტურია, ხელისუფლება, პირველ რიგში, ცდილობს, მოახლოებული არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ხმები მოიპოვოს. ამავდროულად, მაშინ როცა ექს-პრემიერმა საქველმოქმედო აქციას ირანელების ეროვნული სიამაყის დამამცირებელი უწოდა, **"ისლამისტური რევოლუციის ყოფილმა მცველმა"** ბევრად პრაგმატული განცხადება გააკეთა: მან პრეზიდენტს მოუწოდა, საბიუჯეტო თანხების დარიგებას თავი დაანებოს და სამუშაო ადგილების შექმნა სცადოს.

ამასთან, საარჩევნო კამპანიის დაწყებას მხოლოდ სკანდალები და ამომრჩეველთა მოსყიდვის გამო კამათი არ ახლავს თან. პოლიცია უკვე იძიებს თეირანში, თავისუფალ ისლამური უნივერსიტეტში მომხდარ მასშტაბურ ჩხუბს. ხელისუფლების ვერსიით, სტუდენტებმა, რომლებიც ყოფილ პრემიერ მუსავის უჭერენ მხარს, აჰმადინეჯადის მომხრეებთან მასობრივი შეტაკება გამართეს. ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ცნობილი არ არის, ვინ გამოვიდა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული და როგორ აისახება მომხდარი კანდიდატების საარჩევნო კამპანიაზე.

# ნაფიც მსაჯულთა სისტემა იაპონიაში

მარიკა იაშვილი

ხანგრძლივი კამათისა და განხილვების შემდეგ იაპონიაში, ბოლოს და ბოლოს, შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა სისტემა. ნაფიცი მსაჯულები ყველაზე რთულ სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ და ციხეში მოხვედრის საფრთხის გამო იძულებულნი იქნებიან, მთელი ცხოვრება საიდუმლოდ შეინახონ ამ დროს მიღებული ინფორმაცია. მათი მონაწილეობით პირველი პროცესი უკვე ივლისის ბოლოს ჩატარდება.

იაპონია დღემდე რჩებოდა მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების რვიანიდან ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელშიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არ არსებობდა. ქვეყანაში ეს სისტემა 1928 წლიდან 1943 წლამდე მოქმედებდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს მილიტარისტულმა რეჟიმმა გააუქმა.

დღემდე პროცესებზე განაჩენი ბრალდების მხარისა და ადვოკატების დასკვნების მოსმენის საფუძველზე მხოლოდ მოსამართლეს გამოჰქონდა. თავად სასამართლო პროცესები ზედმეტი ფორმალობის, დროში გაწელვისა და საზოგადოებრივი აზრისგან განცალკევების გამო არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი.

ახალი სისტემის მიხედვით, შედარებით მძიმე საქმეების განხილვებში, რომლებიც, კონკრეტულად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისა და ძარცვის ფაქტებს შეეხება, შემთხვევით არჩეული ექვსი მოქალაქე იქნება ჩართული. ისინი საქმის განხილვაში პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას.

დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და აშშ-სგან გასხვავებით, ნაფიცი მსაჯულები არა მხოლოდ ადამიანის ბრალეულობას ან უდანაშაულობას განსაზღვრავენ, არამედ კონკრეტულად განაჩენსაც გამოიტანენ, მათ შორის უმაღლეს სასჯელსაც.

ისინი ვალდებულნი იქნებიან, სასამართლოს მსვლელობის დროს მიღებული ყველა ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 6-თვიანი პატიმრობა ან 500 ათასი იენის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაემუქრებთ, რაც 5 ათას აშშ დოლარს აღემატება. ასეთი ცვლილებები უკვე გახდა კრიტიკის მიზეზი. მთელი რიგი ექსპერტების აზრით, მსაჯულებს არ ექნებათ საშუალება, გავლენა მოახდინონ პროფესიონალი მოსამართლეების გადაწყვეტილებებზე და მათ მიერ დაშვებული შეცდომების გაბათილება შეძლონ.

იაპონიაში კრიტიკის მიზეზი გახდა ახალი სასამართლო სისტემის შესახებ კანონში იმ პუნქტის არარსებობაც, რომელიც ნაფიც მსაჯულებს ნებას დართავს, უარი თქვან მოვალეობის შესრულებაზე აზრისა და სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების საფუძველზე.



# ძალთა გადაჯგუფება უკრაინაში

ივა შილაკაძე

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი პრინციპში გარკვეულია, თუმცა ჯერ ოფიციალურად დანიშნული არ არის. ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 25 ოქტომბრის უკანონობის შესახებ, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გაუსაჩივრებია და რადა ალბათ მას 17 იანვრისთვის გადაიტანს. არის ერთი "სათადარიგო" თარიღიც - 27 დეკემბერი, რომელიც იულია ტიმოშენკოს ბლოკმა დაასახელა, თუმცა ახალი წლის წინ არჩევნების მომხრე არ არის იანუკოვიჩი. იუშჩენკო კი ოპონენტებს ცინიკურად ურჩევს, უბრალოდ, ჩაიხედონ კალენდარში. დღის წესრიგიდან მოიხსნა უმაღლესი რადას დათხოვნაც, რეგიონების პარტიამ ბლოკირებული ტრიბუნა მოლაპარაკებების შედეგად გაათავისუფლა და პარლამენტის მოკლე სხდომა ფორმალურად ჩატარდა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი უარის მიუხედავად, იუშჩენკო მაინც ემხრობა რადას დათხოვნისა და ორი არჩევნების ერთდროულად ჩატარების იდეას. თუ უახლოესი ორი თვის განმავლობაში, 17 ივლისამდე, უმაღლესმა რადამ პრეზიდენტს დათხოვნის საბაბი მისცა, ვიქტორ იუშჩენკომ ის შეიძლება გამოიყენოს კიდეც (ბოლო ექვსი თვე მას ამის უფლება აღარ აქვს).

უკრაინის პოლიტიკურ სპექტრში უკვე იმაზე დაიწყო მსჯელობა, სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ვის უფრო აძლევს ხელს არჩევნების სამი თვით გვიან ჩატარება. ექსპერტთა უმრავლესობა იმაზე თანხმდება, რომ ასეთი კანდიდატები არიან: ტიმოშენკო, ნაწილობრივ პრეზიდენტი იუშჩენკო და სერგეი ტიგიპკო. ვიქტორ იანუკოვიჩისა და არსენი იაცენიუკისთვის კი პირიქით, ეს წამგებიანია. იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს საკუთარი რეიტინგის გამოსასწორებლად მეტი დრო აშკარად წაადგებათ, მით უმეტეს, რომ დარგის ექსპერტთა მონაცემებით, ქვეყნის ეკონომიკაში დადებითი ძვრები შეინიშნება, რამაც წლის ბოლოსთვის შეიძლება, გარკვეული შედეგები გამოიღოს, იულია ტიმოშენკო კი ამას, ცხადია, თავის კარგ მუშაობას მიაწერს. იუშჩენკოს შანსები უარესია, რადგან მისი რეიტინგი ლამის ნულის ტოლია და მის გამოსწორებას რა დრო დასჭირდება, ეს კიდევ საკითხავია. სერგეი ტიგიპკოს კი დრო სჭირდება საარჩევნო კამპანიისთვის, რადგან ის ახლა იწყებს სახელმწიფოს ხელმძღვანელის სავარძლისთვის ბრძოლას. რაც შეეხება იანუკოვიჩს, მისი რეიტინგი, რომელიც ამჟამად ყველაზე მაღალია და მეორე ტურში ალბათ ადვილად გავა, ზრდას არ ექვემდებარება. მას შანსები მაშინ უჩნდება, თუ მისი კონკურენტების ამომრჩეველი "დაიბნევა". საქმე ის არის, რომ ტიმოშენკოც, იაცენიუკიც და იუშჩენკოც ერთსა და იმავე ელექტორატზე მუშაობენ. შედარებით ნეიტრალური კანდიდატია ტიგიპკო, რომელსაც შეუძლია, ხმების ნაწილი იანუკოვიჩსაც წაართვას. რაც შეეხება არსენი იაცენიუკს, რომელიც უკვე დიდი ხანია, პრეზიდენტობაზე პრეტენზიას აცხადებს, შეიძლება რესურსი არ ეყოს დიდხანს საბრძოლველად. იგი ხალხიდან გამოსული კანდიდატის როლშია, მის უკან, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, სერიოზული ფული არ ჩანს. ამ პირობებში შეიძლება მეორე ტურში ყველაზე ადვილად ტიმოშენკო გავიდეს (ცხადია, დასავლური ფლანგიდან).

პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ თავისი, ლამის დახურული პარტიის "ნაშა უკრაინას" რეანიმაციას მიჰყო ხელი. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან იქ დააბრუნა რომან ბეზსმერტნი. ის ერთდროულად არის პრეზიდენტის სამდივნოს უფროსის მოადგილე და პარტიის ალმასკომის ხელმძღვანელი. ცოტა ხნის წინ პარტიის საბჭოს თავმჯდომარედ ვერა ულიანჩენკო აირჩიეს, რომელიც ბოლო ათი წელია, ვიქტორ იუშჩენკოს ერთგული ფიგურაა და როგორც მომხრეებთან, ასევე მოწინააღმდეგეებთან კარგი ურთიერთობებით გამოირჩევა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია, მტრები მეგობრებად აქციოს. ბოლო დროს ეს იუშჩენკოს ნამდვილად სჭირდება, რადგან პარტიაში წესრიგი აშკარად დასამყარებელია. მოსალოდნელია ე.წ. წმენდაც, რათა ყველაფერი დღესვე გაირკვეს. ივნისში დაგეგმილია პარტიის ყრილობა.

ბოლო დღეების მთავარ სკანდალად პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ვიქტორ ბალოგას გადადგომა იქცა, რომელიც ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე იუშჩენკოს მარჯვენა ხელი იყო. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პარტია "ერთიანი ცენტრი", რომელიც ბოლო წლებში "ნაშა უკრაინას" დუბლიორად მოიაზრებოდა. ბალოგა თანამდებობიდან "კარის გაჯახუნებით" წავიდა. მან განაცხადა, რომ მისი გადადგომა გამოწვეულია იუშჩენკოს სურვილით, ხელახლა იყაროს კენჭი პრეზიდენტის პოსტზე. ბალოგას თქმით, იუშჩენკომ იმდენად ვერ გაართვა თავი საქმეს, რომ მეორე ვადაზე ფიქრისთვის მორალური უფლება აღარ აქვს. ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ბალოგა, უბრალოდ, ჩასაძირად განწირული გემიდან გაიქცა. დაიწყო მარჩიელობა, თუ ვის შეიძლება ის მიეკედლოს. დამოუკიდებელ თამაშს, საერთო აზრით, ვერ "გაქაჩავს". იუშჩენკოს ბალოგას შემცვლელის კანდიდატურაზე დიდხანს არ უფიქრია. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსიც ვერა ულიანჩენკო გახდა, რომელიც აქამდე კიევის ოლქის გუბერნატორად მუშაობდა. როგორც იუშჩენკოს მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები და ნეიტრალური პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ ულიანჩენკოზე არჩევანის შეჩერება პრეზიდენტის მხრიდან აშკარად სწორი ნაბიჯია. სხვა საქმეა, რამდენად არის შესაძლებელი საერთოდ იუშჩენკოს მიერ საპრეზიდენტო არჩევნების მოგება. ბევრის აზრით, "ნაშა უკრაინა" და მისი ხელმძღვანელი, უკეთეს შემთხვევაში, რადას არჩევნებში შეძლებენ გარკვეული წარმატების მიღწევას.

უკრაინაში კიდევ ერთი ინტრიგა შინაგან საქმეთა მინისტრ იური ლუცენკოს სახელს უკავშირდება, რომელიც ფრანკფურტის აეროპორტში მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. მინისტრი და მისი თანმხლები პირები, მათ შორის მისი შვილიც, ფრანკფურტის გავლით სეულში მიფრინავდნენ. უკრაინელებს თვითმფრინავში არ უშვებდნენ, რადგან გერმანელმა სამართალდამცავებმა მათ სიფხიზლეში შეიტანეს ეჭვი. ამას შეხლა-შემოხლა მოჰყვა და ინციდენტი პრესის ფურცლებზეც მოხვდა. ლუცენკომ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრის სასწრაფოდ გადასაყენებლად ჰქონდათ ბლოკირებული უმაღლესი რადას ტრიბუნა "რეგიონალებს". თუმცა მისი გადადგომა უკვე სათუო გახდა. შეთანხმების თანახმად, ინციდენტი მთავრობამ უნდა გამოიძიოს და რადას მოახსენოს. იულია ტიმოშენკომ კი, ძნელი სავარაუდოა, არჩევნების წინ თავისი ერთგული შინაგან საქმეთა მინისტრი მოიცილოს. საქმე ის არის, რომ ლუცენკოს გადაყენება მმართველი კოალიციის წევრმა პარტიამ, იუშჩენკოს "ნაშა უკრაინამაც" მოითხოვა. ლუცენკოს მომხრეები კი, მისი გაწირვის შემთხვევაში, ისედაც მყიფე კოალიციიდან გასვლით იმუქრებიან. ბოლო დღეებში ამას დაემატა იულია ტიმოშენკოს მხრიდან თავდაცვის მინისტრ იური ეხანუროვზე განხორციელებული შეტევა. ორი დღის წინ მთავრობამ თავდაცვის სამინისტროში კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებული ინფორმაცია განიხილა. ლაპარაკია ძირითადად მიწის ნაკვეთების უკანონო გასხვისებაზე. ამის შესახებ ადრეც იყო ცნობები, ამჟამად კი არის შიდა გამოძიების დასკვნა, რომელიც საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ წარმოადგინა. კვლევის შედეგად ფაქტები დადასტურდა და მათი მასშტაბებიც უფრო შთამბეჭდავია. მთავრობის სხდომაზე, რომელიც პრესისთვის ღია იყო, ტიმოშენკო მდგომარეობიდან გამოვიდა და მოითხოვა საქმის გამოძიება პროკურატურის მიერ, აგრეთვე თავდაცვის მინისტრის გადადგომა. ეხანუროვი კორუფციაში თავის მონაწილეობას არ აღიარებს, გამოძიებას ისიც მხარს უჭერს და მასზე თავდასხმას პოლიტიკურს უწოდებს. ეხანუროვის გადადგომას არც პრეზიდენტმა იუშჩენკომ დაუჭირა მხარი.

საქმე ის არის, რომ ორიოდე თვის წინ ტიმოშენკოს ბლოკის დახმარებით ოპოზიციამ შეძლო იუშჩენკოს კადრის, საგარეო საქმეთა მინისტრ ოგრიზკოს გადაყენება. ლუცენკოს სკანდალის აგორების შემდეგ "ნაშა უკრაინა" ალბათ სიამოვნებით გადაუხდის სამაგიეროს პრემიერ-მინისტრს. შეიძლება თავდაცვის მინისტრის საქმის გააქტიურებით, რომელიც ასევე პრეზიდენტის პროტეჟეა, ტიმოშენკო ლუცენკოს გადარჩენას ცდილობს. როცა პრეზიდენტმა იუშჩენკომ ეხანუროვის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა, მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში არ არის ფინანსთა მინისტრი (ის წლის დასაწყისში გადადგა), არ არის საგარეო საქმეთა მინისტრი და თუ ამ ჩამონათვალს თავდაცვის მინისტრიც დაემატება, ეს უკვე მონარქიას და ქაოსს დაემსგავსება. პრეზიდენტს, რატომღაც, "გამორჩა" შს მინისტრი ლუცენკო, რომელიც საქმის გარკვევამდე დროებით არ ასრულებს მოვალეობებს. სამივე სამინისტროში მოვალეობის შემსრულებლები მუშაობენ და მინისტრების დანიშვნა დაძაბული ურთიერთობების გამო ვერ ხერხდება. არ არის გამორიცხული, გარკვეული გარიგება მოხდეს და ლუცენკოც და ეხანუროვიც პოსტებზე დარჩნენ

# ყირგიზეთი საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისში

## ცესკო-მ კანდიდატების რეგისტრაცია დაასრულა

ხათუნა გაბიევი



კურმანბეკ ბაკიევი

ყირგიზეთში უკვე დასრულდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა განცხადებების მიღება. არჩევნები ქვეყანაში 23 ივლისს არის დაგეგმილი. საერთო ჯამში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საპრეზიდენტო მარათონში ჩართვის 17 მსურველმა შეიტანა განცხადება, რომელთაგან ხუთის, მათ შორის, ამჟამად მოქმედ პრეზიდენტ კურმანბეკ ბაკიევის კანდიდატურა პარტიული სიით არის წარდგენილი. რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, ესენი არიან: თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ექიმი-ნარკოლოგი, გლეხი, რუსული ენის მასწავლებელი და ოთხიც უმუშევარი პირი.

ქვეყნის პოლიტიკური სპეციფიკიდან გამომდინარე, მთავარ კონკურენტად, რა თქმა უნდა, მოქმედი პრეზიდენტი და ამასთანავე სახელისუფლებო პარტია "აკ ჟოლის" მიერ წარმოდგენილი კურმანბეკ ბაკიევი მიიჩნევა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ არჩევნებამდე პრეტენდენტთა სია კიდევ შეიცვალოს, რადგან საპრეზიდენტო კანდიდატის ოფიციალური სტატუსი მხოლოდ მათ მიენიჭებათ, ვინც 17 ივნისამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოფიციალურად გაივლის რეგისტრაციას. რეგისტრაციისთვის კანდიდატობის თითოეულმა მსურველმა, სულ მცირე, 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა უნდა შეაგროვოს და სახელმწიფო ენის გამოცდა ჩააბაროს.

პრაქტიკიდან გამომდინარე, ზემოჩამოთვლილი მოთხოვნებიდან რომელიმეს შეუსრულებლობა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველიც ყოფილა. მაგალითად, 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ცესკო-მ ყალბად ცნო 5-დან 20 პროცენტამდე ხელმოწერა, ხოლო 2000 წელს სახელმწიფო ენის საგამოცდო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა კანდიდატურების სტატუსით რამდენიმე ოპოზიციონერს, მათ შორის, იურუსლან ტოიჩუბეკოვსაც, რომელიც ყირგიზულ ენაზე წერს ლექსებს და ზეპირად იცის სახალხო ეპოსის "მანასი" რამდენიმე სტროფი.

კურმანბეკ ბაკიევის გუნდი სერიოზულად ემზადება მომავალი არჩევნებისთვის. მათი მხრიდან პირველი მოულოდნელი ნაბიჯი არჩევნების ზაფხულში დანიშვნა იყო. საპრეზიდენტო არჩევნების კანონიერ ვადებში დანიშვნის შესახებ ასეთი ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას ყირგიზეთის ძველი და ახალი კონსტიტუციის ტექსტები იძლევა. ოპოზიცია მოითხოვდა საპრეზიდენტო არჩევნების შემოდგომაზე დანიშვნას, ხოლო მოქმედი ხელისუფლება სამართლიანად მიიჩნევდა პრეზიდენტისთვის კონსტიტუციური ვადის სრულად ამოწურვის შესაძლებლობის მიცემას ანუ არჩევნების 2010 წლის აგვისტოში ჩატარებას. სადავო საკითხს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი განაჩენით დაუსვა წერტილი. შედეგად კი ყირგიზეთმა მიიღო ის, რომ ბაკიევს ხუთწლიანი საპრეზიდენტო ვადა თითქმის ერთი წლით შეუმცირდა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მაინც უკმაყოფილოა ოპოზიცია, ვინაიდან მიაჩნია, რომ შუა ზაფხულში არჩევნების ჩატარება მკვეთრად შეამცირებს ელექტორატის აქტივობას, სამაგიეროდ გაზრდის სიებით მანიპულაციის ანუ გაყალბების შანსებს.

ამასთანავე, ბაკიევის მომხრეებს პრეზიდენტის რეიტინგის პრობლემის გადაჭრაზე უწევთ ფიქრი, ვინაიდან კურმანბეკ ბაკიევის მმართველობის პერიოდში ქვეყანა მწვავე ენერგეტიკული კრიზისის პირისპირ და მსოფლიოში უფრო კორუმპირებულ სახელმწიფოთა სიაში აღმოჩნდა. გარდა ამისა, მიმდინარე წელი გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობების სერიითა და სოციალური ვითარების მკვეთრად გაუარესებითაც დაიწყო. ბაკიევმა, საკუთარი იმიჯის გამოსწორების მიზნით, უკვე საჯაროდ განაცხადა "პრეზიდენტის ახალი კურსის" დაწყების შესახებ, რომლის მომზადებაშიც მას უცხოელ პოლიტტექნოლოგთა გუნდი დაეხმარა. ამავდროულად, დაამტკიცა ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმაც 2009-2011 წლებისთვის. წინასაარჩევნო პერიოდში ბაკიევის სასარგებლოდ მთელი ადმინისტრაციული რესურსის ამოქმედების პარალელურად, გასათვალისწინებელია ასევე უპრეცედენტო ფინანსური დახმარების ფაქტორიც, რომელიც მან ახლახანს რუსეთისგან მიიღო. ბიშკეკში უკვე გადაირიცხა მოსკოვისგან შეპირებული 450 მლნ აშშ დოლარი, რასაც პროსამთავრობო პრესა პრეზიდენტის სასიქადულო მიღწევად ასაღებს.

თუმცა, ამასობაში არც ოპოზიცია ზის გულხელდაკრეფილი. მათ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად ოპოზიციამ შეძლო ერთიანობის გამოვლენა, რაზეც მათ მიერ დასახელებული ერთიანი კანდიდატურის არსებობაც მეტყველებს. ყირგიზეთში მიაჩნიათ, რომ ივლისში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები მაინც ბოლო შანსია "ოჯახური მმართველობის სისტემის" დასასრულებლად. სწორედ, ამიტომ კურმანბეკ ბაკიევის ცნობილმა ოპონენტებმა კონსოლოდაციის აუცილებლობის შესახებ განაცხადეს და საერთო ოპოზიურ კანდიდატად ყოფილი პრემიერი და "სოციალ-დემოკრატების" ლიდერი ალმაზბეკ ატამბაევი წარადგინეს.

**"ჩვენ ერთმნიშვნელოვნად გავიმარჯვებთ. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უკვე ყველას მოაბეზრა თავი, ხოლო ოჯახური კლანის მმართველობა ჩვენი ხალხის ეროვნული სირცხვილია. საკითხავი მხოლოდ ის რჩება, რამდენად შევძლებთ ჩვენ არჩევნების რეალური შედეგების დაცვას. რაც შეეხება ქვეყანაში წესრიგის დამყარებას, მერწმუნეთ, ვიცი, როგორ მოვახერხო. მე ეს უკვე გამიკეთებია მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობისას ეკონომიკის მაგალითზე,"** - განაცხადა ალმაზბეკ ატამბაევმა.

თუმცა, უნდა აღნიშნოს ოპოზიციის ერთიანობაში დისონასის შეტანის მცდელობად მიჩნეული ერთი მაგალითიც, როდესაც ცალ-ცალკე კანდიდატურების წარდგენის შემთხვევაში ოპოზიციის გამარჯვების მეტ შანსზე ისაუბრა პარტია "აკ შუმკარის" ლიდერმა ტემირ სარიევმა.

"ჩვენ გავაგრძელებთ ამჟამინდელი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ვფიქრობ, ერთი კანდიდატურის წარდგენით ოპოზიცია მეტისმეტად დიდ რისკზე მიდის. იგი შეიძლება ნებისმიერ დროს ჩამოაცილონ საპრეზიდენტო მარათონს. აი, მაშინ კი, ვერაფერს გავხდებით," - განაცხადა სარიევმა.

თუმცა, სარიევმა მაინც ვერ გაფანტა საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვები, რომ იგი ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში იმყოფება. ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს შორის ძალიან პოპულარულია აზრი, რომ ოპოზიციაში განხეთქილების შეტანის მიზნით ხელისუფლება ტემირ სარიევს, არჩევნების ბაკიევის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, მაღალ თანამდებობას შეჰპირდა.

# რევიუ



*ბრიუსელში რენე მაგრიტის მორიგი მუზეუმი გაიხსნა, სადაც ცნობილი ბელგიელი მხატვრის რამდენიმე ტილო და პირადი ნივთებია წარმოდგენილი. როგორც მუზეუმის დირექტორმა აღნიშნა, მომცრო დარბაზები ისეა განლაგებული, რომ შეყვარებულმა წყვილებმა უცხო თვალისგან განმარტოება ადვილად მოახერხონ. შესაბამისია ნახატების თემატიკაც.*

## ჩარლზ მენსონი დიდ ეკრანზე

### ოლივერ სტოუნი რომან პოლანსკის ოჯახის მკვლელებზე ფილმს გადაიღებს

ზუსტად 40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩარლზ მენსონის მანიაკალურად განწყობილმა ხროვამ რეჟისორ რომან პოლანსკის 8 თვის ფეხმძიმე მეუღლე და რამდენიმე სტუმარი სადისტურად მოკლა. ამ წლების განმავლობაში ეს საშინელი ფაქტი არა ერთხელ გამხდარა განხილვის საგანი, ამჯერად კი დადგა დრო, მასზე ფილმი გადაიღონ. პროექტს კი ხელი თავად ოლივერ სტოუნმა მოჰკიდა



*ოლივერ სტიუნი.*

იგი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს იურისტ და მწერალ ვინსენტ ბელიოზისთან, რომელმაც რამდენიმე წლის გამოშვებულ წიგნში Helter Skelter დაწვრილებით აღწერა 1969 წელს მომხდარი მკვლელობები. როგორც ოლივერ სტოუნი აცხადებს, ბელიოზიმ თავის დროზე კარგად შეისწავლა მენსონის დაჯგუფება "ოჯახის" დაარსებისა და შემდგომი საქმიანობის დეტალები, რაც საბოლოოდ რომან პოლანსკის სახლში დატრიალებული ტრაგედიით დაგვირგვინდა. გარდა ამისა, ვინსენ ბელიოზი ჩარლზ მენსონისა და მისი "ოჯახის" წევრების სასამართლო პროცესზე პროკურორი გახლდათ. ამრიგად ამ საქმეს ზედმიწევნით იცნობს. "ეს საშინელი ისტორია ბევრმა მწერალმა აღწერა, დაიწერა უამრავი ჟურნალისტური პუბლიკაციაც, თუმცა მათში უფრო ფაქტების აღწერას ვაწყდებით და არც ერთ მათგანში არ არის გადმოცემული საქმის ემოციური დეტალები. ვინსენტ ბელიოზის წიგნმა კი ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს თვალნათლივ დავინახე ის საშინელი საღამო, როდესაც ჩემი მეგობრის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. ამიტომ ყველაზე მეტად მის მიერ მოთხრობილ ვერსიას ვენდობი", - განაცხადა სტოუნმა.

Helter Skelter ჩარლზ მენსონის მიერ დამკვიდრებული ტერმინია, რომლითაც იგი შავკანიანებსა და თეთრკანიანებს შორის დასაწყებ აპოკალიპტურ ომს მოიხსენიებდა (თავად კი ამ სახელწოდებას კი "ბიტლზის" "თეთრის ალბომის" ერთ-ერთ სიმღერას დაესესხა). ბელიოზის წიგნი 1974 წელს გამოიცა და მაშინვე იქცა ბესტსელერად, რაც არა მხოლოდ თავად ისტორიის აქტუალობის დამსახურება იყო, არამედ ავტორისეული ტექსტისაც. ამის დასტურია ისიც, რომ ნაწარმოებმა 1975 წელს "ედგარ ავარდსის" პრიზი მიიღო ფაქტებზე დაფუძნებული საუკეთესო კრიმინალური ნაწარმოების ნომინაციაში.

ოლივერ სტოუნის ნამუშევარი რიმეიკი იქნება. უკვე არსებობს ბელიოზის წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმი. იგი 1976 წელს ტომ გრისმა ტელევიზიისთვის გადაიღო, თუმცა განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია. ამრიგად, ოლივერ სტოუნს კონკურენციის ნამდვილად არ უნდა შეეშინდეს. თუმცა მასთან შიში რა სახსენებელია - სტოუნის პრაქტიკულად ყველა ფილმი ხომ წარმატებისთვისაა განწირული. მით უმეტეს, რომ მას აქვს საგამოძიებო ჟანრის ისტორიული ფილმების გადაღების გამოცდილება ("ჯფკ" და "ნიქსონი").

როგორც ოლივერ სტოუნმა პრესასთან განაცხადა, არ არის გამორიცხული, რომ იგი ჩარლზ მენსონსაც შეხვდეს, რისთვისაც საკმაოდ რთული ბიუროკრატიული პროცედურის გავლა მოუწევს, რადგან მენსონი განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედაა აღიარებული. ახლა ჩარლზ მენსონი 74 წლისაა და კალიფორნიის ქალაქ კორკორანის ციხეში სამუდამო პატიმრობას იხდის. ციხეში ჯდომის 40 წლიანი პერიოდის განმავლობაში მან 11-ჯერ მიმართა შტატის სასამართლოს, რომ პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ყოველთვის უარს იღებდა. მენსონის ადვოკატს გათავისუფლების მორიგი მოთხოვნის უფლება 2012 წელს ექნება, თუმცა წინასწარვე ცნობილია, რომ მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ. ამის მიზეზი კი უმარტივესია - ამერიკის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩარლზ მენსონი არ არის ის ადამიანი, რომელსაც თავისუფლად ცხოვრების უფლება აქვს. ეს უფლება კი მან საკუთარ თავს მაშინ მოუსპო, როდესაც თავის "ოჯახთან" ერთად ბოროტებასთან ბრძოლის სრულიად აბსურდული მოძრაობა წამოიწყო, შედეგად კი 6 ადამიანი სადისტურად მოკლა.

## ნიკოლოზ გვარამია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მსურველთათვის გამართულ ღია კარის დღეს დაესწრო

განათლების და მეცნიერების მინისტრი ნიკოლოზ გვარამია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მსურველთათვის გამართულ ღია კარის დღეს დაესწრო.

შეხვედრაზე გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა მაგისტრანტობის კანდიდატებს დეტალურად გააცნეს საერთო სამაგისტრო გამოცდის როგორც პროცედურულ, ისე შინაარსობრივ მხარეს და უპასუხეს მაგისტრანტობის მსურველთა კითხვებს.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, წელს პირველად აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში მაგისტრანტებს სახელმწიფო დააფინანსებს.

სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მაგისტრატურაში ჩასარიცხად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. სპეციალობის გამოცდას განსაზღვრავს და ატარებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სწავლის გაგრძელება სურს მაგისტრანტობის კანდიდატს.

საერთო სამაგისტრო გამოცდა ივლისში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას ჩატარდება და მას გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია დაიწყო 27 აპრილიდან და გაგრძელდება 25 მაისის ჩათვლით.

გამოცდის შედეგების მიხედვით მაგისტრანტისთვის გაიცემა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი. საგრანტო დაფინანსებას 1000-მდე მაგისტრანტი მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის სააქტო დარბაზში გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ღია კარის დღე ჩაატარა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სოხუმის უნივერსიტეტის რექტორად ჯონი აფაქიძე აირჩიეს

სოხუმის უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები ჩატარდა. აკადემიური საბჭოს ხმათა უმრავლესობით უმაღლესი სასწავლებლის რექტორის თანამდებობაზე პროფესორი ჯონი აფაქიძე აირჩიეს.

არჩევნებში მონაწილეობას რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ჯონი აფაქიძის გარდა სამი კანდიდატი - ივერი კაკუბავა, ალექსანდრე შანგუა და თემურ ჩილაჩავა იღებდა.

რექტორს აკადემიური საბჭო 4 წლის ვადით ირჩევს.

ჯონი აფაქიძე დაიბადა 1960 წლის 11 ივნისს. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო 1983 წელს. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია 1989 წლიდან, დოცენტი - 1993, დოქტორი - 2002, პროფესორი 2004, ხოლო სრული პროფესორი - 2006 წლიდან.

იყო გერმანიის სასწავლო-აკადემიური გაცვლების სამსახურის სტიპენდიატი (1993), გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სტიპენდიატი (1996), გერმანიის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის სამგზის სტიპენდიატი (1998-1999, 2003, 2006). სამეცნიერო-პედაგოგიურ და კვლევით სამუშაოებს აწარმოებდა ბერლინის თავისუფალ და ტიუბინგენის უნივესიტეტებში, ასევე გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში. ოთხი წლის მანძილზე მონაწილეობდა ტროას საერთაშორისო არქეოლოგიურ გათხრებში. არის საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის გენერალური მდივანი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, ევროპის არქეოლოგთა ასოციაციის წევრი. 2005 წელს თბილისში თორმეტი ქვეყნის ჰუმბოლდტელთა მონაწილეობით ჩაატარა სიმპოზიუმი თემაზე: სამხრეთ კავკასია ევროპული ინტეგრაციის გზაზე", ხოლო 2007 წელს - შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და გერმანიის ჰუმბოლდტელ-არქეოლოგებთან ერთად სიმპოზიუმი თემაზე: შავი ზღვის აუზი ძვ. წ. 5000-500 წწ. კომუნიკაცია კავკასიასა და კარპატებს შორის".

კვლევის ძირითადი მიმართულებებია: 1) კავკასიის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კულტურები, 2) ქრონოლოგია არქეოლოგიაში, 3) კოლხეთის არქეოლოგია, 4) ტროას არქეოლოგია, ისტორია და კულტურა; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელია 2007 წლის სექტემბრიდან.

გამოქვეყნებული აქვს 62 ნაშრომი, მათ შორის დიდი ნაწილი დაბეჭდილია საყოველთაოდ აღიარებულ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში.

ჯონი აფაქიძე 2007 წლიდან სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო. **მედიანიუსი**

# ვიმ ვენდერსი ფილმს პინა ბაუშზე გადაიღებს



მალე სახელგანთქმული გერმანელი მოცეკვავე და გამოჩენილი ქორეოგრაფი - პინა ბაუში ვიმ ვენდერსის ახალი ფილმის მთავარი გმირი გახდება. სრულმეტრაჟიანი ფილმის სახელწოდებაა პინა". მისი გადაღება 2009 წლის სექტემბერში დაიწყება და რეჟისორის დაჟინებული მოთხოვნით, მას 3D ფორმატში გადაიღებენ. ამის შესახებ ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

ვიმ ვენდერსის კინოკომპანიის - Neue Road პროდიუსერია ჯანპიერო რინგელი (Gian-Piero Ringel), რომელიც მიიჩნევს, რომ ეს პროექტი პირველი მაღალმხატვრული 3D ფილმის" ნიმუში იქნება. თუ როგორ განხორციელდება ჩანაფიქრი, ამას მოგვიანებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაყურებელი საკუთარი თვალით ნახავს და შეაფასებს. პროექტის ამოქმედებამდე სულ რამდენიმე თვე დარჩა. პინა ბაუშის შემოქმედების თაყვანისმცემლები კი უკვე მოუთმენლად ელიან ფილმს. მათ ვიმ ვენდერსის ოსტატობის იმედი აქვთ.

შეგახსენებთ, რომ ვიმ ვენდერსი 1984 წლის კანის კინოფესტივალზე ოქროს პალმის რტოს მფლობელი გახდა ფილმისათვის პარიზი, ტეხასი". ამ რეჟისორის ყველაზე ცნობილი ნამუშევარია ცა ბერლინის თავზე" (1987 წ.), რომლისთვისაც მას პრიზი კანში საუკეთესო რეჟისურისათვის გადაეცა.

პინა ბაუშის შემოქმედებითი ბიოგრაფია კი ცნობილია მათთვის, ვინც თანამედროვე ცეკვის განვითარებას ადევნებს თვალს. მისი ცხოვრება წარმატებით განხორციელებულ როლებს, დადგმებს, ჯილდოებს, მოსწავლეთა და თაყვანისმცემელთა არმიას იტევს.

პინა ბაუში 1940 წლის 27 ივლისს დაიბადა. 1954-58 წლებში ის საბალეტო ხელოვნებას ესენში ეუფლებოდა, შემდეგ - ნიუ იორკში. 1962 წელს გერმანიაში დაბრუნდა და ესენის საბალეტო თეატრის ჯერ სოლისტი, ხოლო 1969 წლიდან - მისი ხელმძღვანელი გახდა. 1973 წლიდან სათავაშე ჩაუდგა თანამედროვე ცეკვის დასს ვუპერტალეში. მან შემოქმედებით ჯგუფთან ერთად შექმნა სპექტაკლები, რომლებიც იმ ქალაქების პლასტიკისა და ატმოსფეროს გამოხატავდა, სადაც კი მისი თეატრი გამოდიოდა, იქნებოდა ეს ბუდაპეშტი, პალერმო, სტამბოლი, ტოკიო, ლისაბონი, ჰონკონგი, მადრიდი, რომი, ლოს ანჯელესი, სეული, ვენა თუ სხვა. თანამედროვე ცეკვის სფეროში განხორციელებულმა ექსპერიმენტებმა მას საქვეყნო აღიარება მოუტანა.

ვიმ ვენდერსი პირველი არ არის ვის ფილმშიც პინა გამოჩნდება. 1983 წელს მასზე დოკუმენტური სურათი ბელგიელმა კინორეჟისორმა შანტალ აკერმანმა გადაიღო. ის ასევე მონაწილეობს ფედერიკო ფელინის ფილმში და გემიც მიცურავს..." (1983 წ.), და პედრო ალმადოვარის - ესაუბრე მას" (2002 წ.). 1999 წელს მას ევროპული თეატრალური პრემია გადაეცა, ხოლო 2003 წელს - საპატიო ლეგიონის ორდენი, 2007 წელს - ოქროს ლომი (ვენეციის ბიენალე) და კიოტოს პრემია, 2008 წელს - გოეთეს პრემია.

მე არცერთი სკოლის მიმდევარი არ ვარ, მე უბრალოდ ვცეკვავ. სისულელეა ფიქრი იმაზე, რომ ცეკვაში უნდა არსებობდეს რაღაც ნორმა, რომელზეც კლასიკური ბალეტია აგებული, სხვა დანარჩენი კი ცეკვა არ არის. ცეკვის არსებობა შესაძლებელია ნებისმიერ ფორმაში. აქ მთავარია აზრისა და ემოციის პლასტიკური გამოხატულების სიზუსტე. აი, ამაშია საქმე და არა კლასიკური ცეკვის ტექნიკაში, არამედ ჟესტში, რომელიც ადამიანთან თუ ადამიანში მომხდარის არსებითს გამოხატავს. მთავარია არა ის, თუ როგორ მოძრაობს ადამიანი, არამედ ის, რა ამოძრავებს მას", - ამბობს პინა ბაუში.

69 წლის ქორეოგრაფი დღემდე ენერგიულია. პინა ბაუში 2009 წლის ივლისში, მოსკოვში, ჩეხოვის თეატრალურ ფესტივალზე ბერტოლდ ბრეხტის ტექსტის მიხედვით კურტ ვაილის მუსიკაზე დადგმულ სპექტაკლს - შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა" ჩაიტანს. წარმოდგენაში მოსკოვის სიმფონიური ორკესტრი ჩაერთვება.

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა" მან 1976 წელს დაიდგა. მის შესახებ ცნობილი გამოცემები წერდნენ, სადაც აღნიშნულია, რომ პინა ბაუშმა და მისმა ცეკვის თეატრმა მაყურებელს ყველაზე დამანგრეველი სანახაობა აჩვენა მათ შორის, რაც კი გერმანულ სცენაზე დადგმულა. წარმოდგენა გარეგნული ბრწყინვალებითაც ღარიბია. და მიუხედავად იმისა, რომ საოცრად სევდიანია, სავსეა ენერგიით. თუ ბრეხტთან იყო შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, პინა ბაუშთან მხოლოდ ერთი დარჩა და ეს ქალის სხეულით ვაჭრობაა. ამ სპექტაკლში საუბარია მარადიულ თემაზე, რომელიც ქალის დეგრადაციასა და სიამოვნების ობიექტად გადაქცევას ეხება. ის ყველგან იყიდება. მისი მოპოვება შესაძლებელია პირფერობით ან ძალადობით. ამას კი არავითარი კავშირი არა აქვს ემანსიპაციასთან.

სპექტაკლი სულ 75 წუთი რძელდება და ინარჩუნებს ბალანსს ბალეტსა და შოუს შორის. ქორეოგრაფი და შემსრულებლები შესანიშნავად იცავენ ზღვარს ცრემლებსა და სიცილს შორის. ის სანახაობის მოყვარულ მაყურებელს ისე აკმაყოფილებს, რომ არცერთი წვეთით არ კარგავს თავის სიღრმეს. დეტალები ყურადღებით არის დამუშავებული. აქ ყველაფერი გათვლილია იმისათვის, რომ მთლიანობას შეერწყას და მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინოს. პინა ბაუში მწარედ დასცინის იმ სამყაროს, რომელიც მამაკაცებმა თავისთვის და მათზე დამოკიდებული ქალებისთვის მოაწყვეს.

პინა ბაუში მოწაფეა ისეთი სახელგანთქმული ექსპრესიონისტისა, როგორიც კურტ იოსია. ეს უკანასკნელი კი მოძრაობის რეფორმატორის - ლაბანის მოსწავლე გახლდათ. აი, საიდან მოდის პინა ბაუშის ინტელექტუალური და მხატვრული კეთილშობილება, მისი ესთეტიკური არისტოკრატიზმი, რომელიც ასე ბუნებრივად მოიცავს ესთეტიკურ ექსტრემიზმსა და არნახულ შემოქმედებით თავისუფლებას", - წერდნენ ამ გერმანელზე.

# მიქელანჯელოს პირველი ნახატი ამერიკაში



ტეხასში განთავსებულმა კიმბელის ხელოვნების მუზეუმმა (Kimbell Art Museum) განაცხადა, რომ მან მიქელანჯელო ბუენაროტის ცნობილი ნამუშევრებიდან ყველაზე ადრეული - წმინდა ანტონის წამება შეიძინა.

მიქელანჯელომ ეს ნახატი, სავარაუდოდ, 12 ან 13 წლის ასაკში, ანუ 1487 ან 1488 წლებში შექმნა. გარიგება შედგა თუ არა, ამის შესახებ ინფორმაცია Association Press-მა გაავრცელა. თუმცა, კონკრეტულად რა თანხა გადაიხადა მუზეუმმა, ჯერ არ გახმაურებულა. The New York Times-ის განცხადებით, საქმე, სულ მცირე, ექვს მილიონ დოლარს ეხება.

იმის შესახებ, რომ ადრეულ ასაკში მიქელანჯელომ წმინდა ანტონის ცხოვრების სიუჟეტზე ნამუშევარი შექმნა, ჯერ კიდევ მხატვრის ცნობილი ბიოგრაფები: ჯორჯო ვაზარი და ასკანიო კონდივი იუწყებოდნენ. მათი წყალობით ცნობილია, რომ მომავალში სიქსტის კაპელას მომხატავმა შექმნა წამება , რომლის საფუძვლად გერმანელი ოსტატის - მარტინ შონჰაუერის გრავიურა გამოიყენა. მიქელანჯელოს ვარიანტი, რომელიც მან ხეზე ტემპერაში შეასრულა, ორიგინალისგან რამდენადმე განსხვავდება, მაგალითად: ახალგაზრდა მხატვრის მიერ გამოსახული ურჩხულები, მის წინამორბედთან შეადრებით, უფრო დრამატული გამოვიდა.

კამათი და მსჯელობა საკითხზე, მართლა მიქელანჯელომ დახატა თუ არა წმინდა ანტონის წამება , 400 წელზე მეტია გრძელდება. ხელოვნებათმცოდნეთაგან ყველა სულაც არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ეს სურათი ბუონაროტის ხელით არის შესრულებული. ამასთან, ცნობილია, რომ 2008 წლის ივლისში ეს ნახატი გამოფენილი იყო ლონდონის Sotheby s აუქციონზე, სადაც მას წინდახედული მინიშნებაც ახლდა: დომენიკო გირლანდაიოს სახელოსნო (მიქელანჯელო სწორედ ამ ფლორენციელთან სწავლობდა).

Sotheby s აუქციონზე ორ მილიონ დოლარად შეძენილი ნამუშევარი ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში მიიტანეს, სადაც ჯერ გაწმინდეს, შემდეგ კი რესტავრაცია ჩაუტარეს. ლონდონელი სპეციალისტებისაგან განსხვავებით, ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, რომ წმინდა ანტონის წამება ნამდვილად მიქელანჯელოს დახატულია. აღსანიშნავია, რომ ვიდრე ამ ნახატს კიმბელის მუზეუმი უკანასკნელი მფლობელისგან (ანუ იმ ადამიანისგან, რომელმაც ის ლონდონის Sotheby s აუქციონზე იყიდა) შეიძენდა, ნახატი ცნობილი იყო სახელწოდებით: წმინდა ანტონის ცდუნება . თუმცა, კიმბელის მუზეუმის დირექტორმა - ერიკ ლიმ გადაწყვიტა, რომ მისი მუზეუმის კოლექციის ინვენტარიზაციაში ეს ნამუშევარი მოხსენიებული იქნება, როგორც წმინდა ანტონის წამება .

2009 წლის ზაფხულში ახალგაზრდა მიქელანჯელოს ნახატი მეტროპოლიტენ მუზეუმში გამოიფინება, მოგვიანებით კი კიმბელის მუზეუმში გადაინაცვლებს, სადაც შონჰაუერის გრავიურის გვერდით იქნება ექსპონირებული.

უშუალოდ ავტორს რაც შეეხება, მიქელანჯელო ბუონაროტის სრული სახელია მიქელანჯელო დი ლოდოვიკო ბუონაროტი სიმონი. იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი, პოეტი და მოაზროვნე 1475-1564 წლებში მოღვაწეობდა. ის რენესანსის ეპოქის უდიდეს ოსტატთაგან ერთ-ერთია. მისი მამა, ლოდოვიკო ბუონაროტი, ქალაქის მრჩეველი იყო. ბავშვობაში ის ფლორენციაში იზრდებოდა, შემდეგ, რამდენიმე ხნით, ქალაქ სეტინიანოში ცხოვრობდა. 1488 წელს მიქელანჯელო (მამის ნების საწინააღმდეგოდ) დომენიკო გირლანდაიოს მოწაფე გახდა, სადაც, დაახლოებით, ერთი წელი ისწავლა. 1496 წელს კარდინალმა რაფაელე რიარიომ მისი მარმარილოს კუპიდონი შეიძინა და მხატვარი სამუშაოდ რომში მიიწვია.

საქვეყნოდ ცნობილი შემოქმედი 1564 წლის 18 თებერვალს, ქალაქ რომში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან დატოვა ანდერძი, რომელიც მისთვის დამახასიათებელი სიტყვაძუნწობით და შემდეგი შინაარსით გამოირჩევა: სულს ვაძლევ ღმერთს, სხეულს მიწას, ქონებას მშობელ ხალხს . მისმა გენიამ დაღი დაასვა არა მხოლოდ რენესანსის ხელოვნებას, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურას. მისი მოღვაწეობა, ძირითადად, ორ იტალიურ ქალაქთან არის დაკავშირებული, ესენია: ფლორენცია და რომი. ის უპირველესად მოქანდაკე იყო. ეს მის ფერწერაშიც იგრძნობა. მისი ხელწერა მდიდარია პლასტიური მოძრაობებით, რთული პოზებით, მოცულობათა მკაფიო და ძლიერი ძერწვით. ფლორენციაში მან შექმნა მაღალი აღორძინების უკვდავი ნიმუში - დავითის ქანდაკება (1501-1504 წწ.), რომელიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანის სხეულის ეტალონად იყო აღიარებული, ხოლო რომში შეასრულა სკულპტურული კომპოზიცია პიეტა (1498-1499 წწ.), გარდაცვლილი ადამიანის ფიგურის პლასტიკაში გამოსახვის ერთ-ერთი პირველი მაგალითი. მხატვარმა უფრო გრანდიოზული ჩანაფიქრების განხორციელბა სწორედ ფერწერაში შეძლო, სადაც ფერისა და ფორმის ნოვატორად მოგვევლინა. პაპის - იულიუს მეორის შეკვეთით მან 1508-1512 წლებში სიქსტის კაპელას ჭერი მოხატა, სადაც სამასზე მეტი ფიგურა გამოსახა. აღსანიშნავია, რომ მიქელანჯელოს ერთდროულად მიიჩნევენ აღორძინების უკანასკნელ ოსტატად და ბაროკოს სტილის შემქმნელად. სწორედ მან გაიაზრა ბაროკოს სტილის უმთავრესი ელემენტი - კედლის პლასტიკა.

# წერილი თევზებს, ანუ თევზებთან დიალოგი

მზეხა მახარაძე

"დუმილი თანხმობის ნიშანია - ლაბორატორია თავი IX" - ამ აქცია-ექსპოზიციაზე თუ მოხვდები, რამე რომ გაიგო, ან მის ავტორს უნდა ესაუბრო, ან კონცეფციის ნამდვილი ისტორია იქვე უნდა გადაიკითხო, სხვანაირად უბრალოდ ვერაფერს მიხვდები...

ინსტალაციები, რომლებიც ასახავს ლაბორატორიაში თევზებზე ჩატარებულ ექსპერიმენტს, მეცნიერული კვლევის პროცესებს, იდეების ბუნდოვანი ინტერპრეტაციაა თევზებზე ადამიანის ზემოქმედებისა და კონტაქტის გავლენის შესახებ.

პროექტის ავტორი მხატვარი კოტე ჯინჭარაძეა, რომელიც კონცეპტუალურად გადმოსცემს საკუთარ დიალოგს თევზებთან. როგორ? შეიძლება თუ არა თევზებთან გაიმართოს დიალოგი? ამბობს, რომ "ამ პროცესს 13 წელია პერიოდულად მართავს" სხვადასხვა ქვეყნების მდინარეების, ტბების, ზღვების ნაპირებზე. წყალქვეშა ბინადრებთან "მოლაპარაკებებს" ასეთი ფორმა აქვს: მხატვარი წერილებს უგზავნის თევზებს, ანუ წინასწარ დაგეგმილ ადგილზე ის წყალში უშვებს მინებში ჰერმეტულად დაცულ ფირფიტებს, რომლებშიც თევზებისათვის განკუთვნილი ტექსტებია მოთავსებული. რატომ "ელაპარაკება" თევზებს მხატვარი? რა წერია ამ ტექსტებზე? მისი აზრით, "პრობლემა მარტივია, ადამიანის ბუნება გაუცხოებულია, არ არსებობს დიალოგი თანამედროვე ურთიერთობებში და პროტესტის მიზნით მიდის თევზებთან - ეს პროტესტის ინტერპრეტაციის ერთგვარი ფორმაა..." გამოდის, რომ წყლის პირას მსგავსი აქცია-პერფორმანსები პოლიტიკური "არტის" ინტერესისკენ იხრება და ეს ფორმა "წარმოადგენს ოფიციალური მოლაპარაკებების მოდელის იმიტაციას". რამდენად საინტერესოა ეს ფორმა და მოაქვს თუ არა ამ "მოლაპარაკებებს" შედეგები?

- შედეგი ისევ დუმილი იყო, - ამბობს პროექტის ავტორი, - ამას წყალქვეშ ჩაშვებული მიკროფონი აფიქსირებს, აფიქსირებს თევზების რეაქციას ტექსტებზე, რომელიც პარალელურად ფიქსირდება აუდიო მაგნიტურ ლენტზე და ჩვენ ფირებს ვშიფრავთ.

**- მაშინ ეს დიალოგი არშემდგარია?**

- ზოგჯერ დიალოგი სიჩუმითაც გამოდის, თვითონ ეს ფრაზა - "დუმილი თანხმობის ნიშანია", რომელიც არსებობს საუკუნეებია, ნიშნავს იმას, რომ ზოგჯერ დუმილი სიბრძნეა, ზოგჯერ თანხმობის ნიშანი, ზოგჯერ დუმილი ოქროა... თევზების დუმილი არის პროტესტი, ჩემი პროტესტი, ფარსიც, ირონიაც, მე ამით ვაჩვენებ ადამიანებს, რომ თქვენ ვერ პოულობთ ერთმანეთთან საერთო ენას.

**- თევზებს პროტესტის მიზნით უგზავნით წერილებს?**

- დიახ. მსოფლიოში სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და სხვა პრობლემებმა გათიშულობის პრობლემა წამოსწია. მე მტკვარზე 1996 წელს ვაწარმოე დიალოგი თევზებთან.

**- რომელ ენაზე?**

- ეკოლოგიურ პრობლემაზე. ამ ტექსტებზე, სიგნალებზე თევზები რეაგირებდნენ.

ბიოლოგი ენ ზეტ დვალი დაინტერესდა ამ საკითხით და უნდოდა მეცნიერულად დაესაბუთებინა მართლაც შეუძლიათ თუ არა თევზებს წაკითხვა, არჩევენ თუ არა ნიშნებს... მუშაობის დროს თითქმის კარგი პლატფორმა მიეცა კვლევას რომ გაეღრმავებინა ეს შედეგები.

ექსპერტ ენ ზეტ დვალის ლაბორატორიული ექსპერიმენტი "თავი IX", რომელიც თევზების მიერ ტექსტუალურ აღქმას გულისხმობდა, გამოდის რომ ბუნდოვნად დასრულდა, უფრო მეტიც, შედეგების გარეშე და მისი ავტორი ბიოლოგი გაუგებარი სიტუაციიდან უკვალოდ გაუჩინარდა სამუდამოდ. ამ საიდუმლო გაუჩინარებაში ალბათ რაღაც საიდუმლო ინახება, რაც ალბათ ოდესმე აიხსნება, მაგრამ მანამდე პროექტ "დუმილი თანხმობის ნიშანია - ლაბორატორია თავი IX" "დუმილის დიალოგს" თუ დაესწრებით, მიხვდებით, რომ მხატვარმა კოტე ჯინჭარაძემ ამ მეცნიერული კვლევის პროცესი და ლაბორატორიული ექსპერიმენტი კონცეპტუალურ არტში გადაიტანა, ესთეტიკას ჩამოაშორა, მხატვრულ ასახვაში ბევრი გაუგებრობა შეიტანა და დაარქვა Actual art. მხატვარმა, რომელიც "დამთვალიერებელს აღქმის სრულ თავისუფლებას სთავაზობს", ვიზუალურ ფორმებად აირჩია ფოტოგრაფია, კოლაჟი, ინსტალაცია, მხატვრობა..., ანუ კომპოზიციური ეკლექტიკა, რომელიც თავის "უსიტყვო" კონცეფციებში შინაარსსა და ლოგიკას ვერ ხსნის.

ეს აქცია თბილისის ისტორიის მუზეუმში "ქარვასლა" მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში 30 მაისამდე გაგრძელდება.

# PROJECT TRICO - ტრილოგიის მესამე ნაწილი

## Team Ico-ს ახალი პროექტის ნაწყვეტი ინტერნეტში გავრცელდა

ია ვეკუა

...სიბნელეში მხოლოდ ორი ნაპერწკალი ანთია, ორი ელვარე თვალი. დროდადრო ჩუმი, თუმცა შიშის მომგვრელი ხმა ისმის. არავინ იცის, როდის გაარღვევს ამ სიბნელეს დამალული მხეცი და როდის გვაუწყებს ახალი ბოროტების დაბადების შესახებ... თუმცა ნუ იჩქარებთ - ის სულაც არ ყოფილა საშიში. პირიქით ძალიან საყვარელია, ფრინველის ნისკარტი, ძაღლის სხეული და ზღაპრული ცხოველის ფეხები აქვს და რაც მთავარია, იგი ჩვენი გმირის საუკეთესო მეგობარი და დამხმარეა. გმირის შესახებ კი უფრო ცოტაა ცნობილი. მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი საკულტო თამაშების, Ico-სა და Shadow of the Colossus-ის შემქმნელების მორიგი პროექტის პერსონაჟია.




ვისაც ოდნავ მაინც აქვს წარმოდგენა კომპიუტერული თამაშების შესახებ, განსაკუთრებით კი კომპანია სონის ექსკლუზიურ თამაშებში ერკვევა, მისთვის ინტერნეტში გამოჩენილი ეს სიახლე ნამდვილად სენსაცია იყო. როგორც იქნა, ნათელი მოეფინა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე ჭორებსა და დაუზუსტებელ ინფორმაციებს და მეტ-ნაკლებად ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ Team Ico ახალ პროექტზე - Project Trico-ზე მუშაობს. ინტერნეტში კი უკვე გამოჩნდა ამ ინფორმაციის დამადასტურებელი კადრები. იგი შეიძლება ახალი თამაშის ტიზერადაც მივიჩნიოთ, თუმცა ტიზერისთვის საკმაოდ ხანგრძლივი და მრავლის მომცველია. ეს უფრო თამაშის ნაწყვეტია, რომელიც გეიმერებისთვის უკვე ნაცნობი კადრით იწყება: ბნელ ღრმა ჭაში დროის მიერ გამოხრული ჯაჭვი ჩადის...

როგორც რამდენიმე წყარო ადასტურებს, 3 წუთი და 47 წამიანი ნაწყვეტი ახალი არ არის. იგი დაახლოებით ერთი წლის წინ დაამზადეს, რათა Team Ico-ს ყველა თანამშრომელს ჰქონოდა წარმოდგენა, თუ რაზე მუშაობენ. ნაწყვეტში ჩანს, რომ ახალ თამაშში მთლიანადაა შენარჩუნებული Ico-სა და Shadow of the Colossus-ისთვის დამახასიათებელი გრაფიკული გარემო, თუმცა იმ განსხვავებით, რომ გაცილებით მაღალი ხარისხისაა (ეს განსაკუთრებით შესამჩნევია, თუ ნაწყვეტს HD-ს ხარისხით ნახავთ).

პარალელურად ვრცელდება თამაშის დეველოპერი კომპანიის, Sony Computer Entertainment America-ს წარმომადგენელთა განცხადება, რომლითაც ირკვევა, რომ ინტერნეტში გავრცელებული მასალა არ წარმოადგენს თამაშის ოფიციალურ ანონსს და არც ამ ნაწყვეტში გამოჩენილი ცხოველისა და ბიჭუნას საბოლოო სახეა დამტკიცებული. ვადასტურებთ, რომ არსებობს პროექტი სამუშაო სახელწოდებით Project Trico, რომელიც ჩვენი გუნდის წინა ორი თამაშის მსგავსი იქნება, თუმცა ოფიციალურად ჯერჯერობით არაფერია ცნობილი - არც თამაშის სიუჟეტი და არც მისი გამოსვლის თარიღი. რაც შეეხება ამ ნაწყვეტს, ის ნამდვილად ჩვენ მიერაა დამზადებული, თუმცა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის გვჭირდებოდა. ამრიგად მას დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ , - განაცხადა სონის წარმომადგენელმა.

ინტერნეტში გავრცელებული ნაწყვეტის ნამდვილობის დასამტკიცებლად ჟურნალისტებმა შარშან სექტემბერში Team Ico-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ფუმიტო უედას სიტყვები გაიხსენეს. მაშინ მან დაადასტურა, რომ ახალი თამაშის მზადების ადრეულ სტადიას გადიან: სამწუხაროდ, Team Ico-ს თამაშების თაყვანისმცემლებს ცოტა ხანს კიდევ მოუწევთ მოცდა, რადგან გვინდა, მათთვის წარმოუდგენელი პროდუქტი შევქმნათ, რომელიც მდიდარი იქნება არა მხოლოდ ვიზუალურად და სიუჟეტის მხრივ, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიის ყველა მოთხოვნასაც დააკმაყოფილებს .

სავარაუდოდ ახალი თამაშის არსი წინა თამაშების მსგავსი იქნება. მთავარი გმირია ბიჭუნა, რომელსაც ამ ზღაპრული ცხოველის დახმარებით არა ერთი თავსატეხის ამოხსნა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ 2001 წელს გამოსული Ico-ს პერსონაჟს უზარმაზარი სასახლიდან მოჯადოებული გოგონა უნდა გაეყვანა, რისთვისაც ათობით ურთულესი თავსატეხის ამოხსნა უწევდა. Shadow of the Colossus-ის გმირმა ვენდორმა კი საყვარელი გოგონას გაცოცხლების საფასურად 16 უზარმაზარი ქვის კოლოსი უნდა მოკლას. შეგახსენებთ, რომ ამ საოცარი თამაშის შესახებ ფილმის გადაღება უკვე ოფიციალურადაა დაანონსებული, მისი გამოსვლა კი 2012 წელსაა დაგეგმილი.

### ყვარელში ჩოხოსან რაინდთა დასის სასკოლო სადროშო დაფუძნდება

ხვალ ყვარლის №1 საჯარო სკოლაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის სასკოლო სადროშო დაფუძნდება.

როგორც დასის ხელმძღვანელმა პროფესორმა გოგი დოლიძემ განაცხადა, მოსწავლეები წარმოადგენენ სპექტაკლს  კრწანისის ბრძოლა", რომელიც მოსწავლეებმა თავად დადგეს.

სპექტაკლი ჟურნალ  მნათობში" 2007 წლის მე-11 ნოემერში პროფესორ თეიმურაზ პეტრიაშვილის ამავე სახელწოდების დოკუმენტური მოთხრობის მიხედვით დაიდგა.

სპექტაკლს დაესწრებიან ჩოხოსან რაინდთა დასის გამგეობის წარმომადგენლები, პროფესორ გოგი დოლიძის ხელმძღვანელობით, მათ შორის თეიმურაზ პეტრიაშვილი, მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, ცნობილი ჟურნალისტი ივანე ჯაფარიძე და სხვები. **მედიანიუსი**

### ბრიტანელმა ცნობილმა მსახიობმა ლუსი გორდონმა თავი მოიკლა

თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ბრიტანელმა ცნობილმა მსახიობმა ლუსი გორდონმა. ტრაგედია მსახიობის დაბადების დღის წინა ღამით მოხდა. 28 წლის გოგონა მსოფლიომ სერდიკ კლაპიშის ფილმით "რუსული თოჯინები" გაიცნო.

როგორც მსახიობის აგენტმა აელიზაბეტ სიმპსონმა განაცხადა, თვითმკვლელობა გორდონმა პარიზში საკუთარ ბინაში ჩაიდინა.

აღსანიშნავია, რომ ლუსი გორდონმა თავისი კინოკარიერა 2001 წელს დაიწყო და ამ ხნის მანძილზე იგი 15 ფილმსა და სერიალში მონაწილეობდა. **მედიანიუსი**

### კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სასწავლებელი გაიხსნა

თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან სამუსიკო სკოლა დაარსდა.

2009/2010 სასწავლო წლისათვის სამუსიკო სკოლა აცხადებს მიღებას I-XI კლასის ჩათვლით. სკოლაში ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გამოცდას შემდეგ სპეციალობებზე:

1. საფორტეპიანო
2. საორკესტრო სიმებიანი საკრავები
3. საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები

პირველ კლასში ჩარიცხვა განხორციელდება მუსიკალური მონაცემების შემოწმების შედეგად. მისაღები გამოცდები ჩატარდება სახელმწიფო კონსერვატორიაში

სამუსიკო სკოლაში საბუთები მიიღება ყოველდღე 20 მაისიდან 11-დან 17 სთ-მდე

საბუთების მიღება შეწყდება 2 ივნისს 16 სთ-ზე. მისაღები გამოცდები დაიწყება 4 ივნისს. ღია კარის დღე ჩატარდება 25 მაისს, ორშაბათს, 12 საათზე კონსერვატორიის კამერულ დარბაზში. **24 საათი**

### აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო გალის რაიონის პედაგოგებს უმასპინძლებს

22-23 მაისს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო გალის რაიონის პედაგოგებს თბილისში უმასპინძლებს.

კონფლიქტის ზონის 40-მდე პედაგოგი, თბილისში ჩამოვა. გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელობით, დევნილი პედაგოგები სიღნაღისა და ბოდბის ღირშესანიშნაობებსაც დაათვალიერებენ.

23 მაისს, სვიმონ კანანელის ხსენების დღესთან დაკავშირებით, პედაგოგები სამების საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვას დაესწრებიან, რის შემდეგაც, 14:00 საათზე, დევნილ მასწავლებლებს, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი და აფხაზეთის მთავრობის წევრები შეხვდებიან.

შეხვედრაზე, გალის რაიონში განათლების სისტემაში არსებულ ვითარებაზე და ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრებენ. ასევე დაგეგმილია ფილმის "ბედთან გაჯიბრება" ჩვენება და კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრები ბავშვების ნახატების გამოფენა. გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ნონა შონია, გალის რაიონიდან გადმოსულ პედაგოგებს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორწლიანი საქმიანობის შესახებ დოკუმენტურ მასალას გააცნობს და მუშაობის შედეგებს შეაჯამებს.

შეხვედრა 23 მაისს, 14:00 საათზე (ვაჟა-ფშაველას N76-ბ), ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული სხვადასხვა ინსტრუმენტების შესყიდვის შესახებ ტენდერის დამატება

შპს ,,საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 9 მაისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სხვადასხვა ინსტრუმენტების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში:
ა) №1 ლოტში დაემატა ორი პოზიცია ბურღი „პობედიტის" და დისკო-ქვის რკინის საჭრელი;
ბ) №2 ლოტის სახით დაემატა სამი პოზიცია ელექტრო ბურღი, საჭრელი და ჩაქუჩი;
საბოლოოდ შესყიდვის ობიექტის №1 ლოტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბურღი | ბურღი 10მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 12მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი დ-3 მმ | ცალი | 40 |
| | | ბურღი 4მმ | ცალი | 30 |
| | | ბურღი 5მმ | ცალი | 30 |
| | | ბურღი დ-6 მმ | ცალი | 40 |
| | | ბურღი 8მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი დ-2,5 მმ | ცალი | 40 |
| | | ბურღი 7მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 9მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 11მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 3,5მმ | ცალი | 30 |
| | | ბურღი 4,5მმ | ცალი | 30 |
| | | ბურღი 5,5მმ | ცალი | 30 |
| | | ბურღი 7,5მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 8,5მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 9,5მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 10,5მმ | ცალი | 15 |
| | | ბურღი 11,5მმ | ცალი | 15 |
| | | პობედიტის 10მმ | ცალი | 10 |
| | გასაღები | ტორსული 17*19 | ცალი | 10 |
| | | ქანჩის 12X14 | ცალი | 25 |
| | | ქანჩის 17X19 | ცალი | 25 |
| | | ქანჩის 19X22 | ცალი | 25 |
| | | ქანჩის 22X24 | ცალი | 25 |
| | | ქანჩის 24X27 | ცალი | 15 |
| | | ქანჩის 27X30 | ცალი | 10 |
| | | ქანჩის 32X36 | ცალი | 10 |
| | | ქანჩის 41X46 | ცალი | 5 |
| | | ქანჩის 8X10 | ცალი | 20 |
| | | ქანჩის 10X12 | ცალი | 25 |
| | გასაღები | ქანჩის 14X17 | ცალი | 25 |
| | | ქანჩის "რაზვადნოი" №2 | ცალი | 10 |
| | | ქანჩის "რაზვადნოი" №3 | ცალი | 10 |
| | გასაღები | ქანჩის "რაზვადნოი" №5 | ცალი | 4 |
| | | ქანჩის (ნომერი 8-42 კომპლექტი) | ცალი | 5 |
| | | ქანჩის გალოვკიანი (კომპლექტი) | ცალი | 5 |
| | სახრახნისი | 150მმ | ცალი | 25 |
| | | 200მმ | ცალი | 25 |
| | | 100მმ | ცალი | 25 |
| | ქლიბი | ბრტყელი ტიპი ბ | ცალი | 15 |
| | | მრგვალი ტიპი დ | ცალი | 15 |
| | | სამკუთხა პატარა | ცალი | 15 |
| | | ბრტყელი დიდი ზომის | ცალი | 20 |
| | | ბრტყელი საშუალო ზომის | ცალი | 20 |
| | | მრგვალი დიდი ზომის | ცალი | 15 |
| | | მრგვალი საშუალი ზომის | ცალი | 15 |
| | | ოთხკუთხა დიდი ზომის | ცალი | 15 |
| | | ოთხკუთხა საშუალო ზომის | ცალი | 15 |
| | | სამკუთხა დიდი ზომის | ცალი | 15 |
| | | სამკუთხა საშუალო | ცალი | 15 |
| | გარეხრახნმჭრელი | ნორმალური ბიჯის M16 | ცალი | 10 |
| | | ნორმალური ბიჯის M6 | ცალი | 10 |
| | შიდახრახნმჭრელი | I ბიჯის M12 | ცალი | 10 |
| | | I ბიჯის M4 | ცალი | 10 |
| | | II ბიჯის M12 | ცალი | 10 |
| | ფრეზი რკინის საჭრელი | დისკური 200*4 | ცალი | 10 |
| | | დისკური 200*5 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 3,5 | ცალი | 20 |
| | | თითისებრი 4 | ცალი | 20 |
| | | თითისებრი 4,5 | ცალი | 20 |
| | | თითისებრი 5 | ცალი | 20 |
| | | თითისებრი 5,5 | ცალი | 20 |
| | | ფრეზი თითისებრი 6 | ცალი | 20 |
| | | თითისებრი 6,5 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 7 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 7,5 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 8 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 8,5 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 9 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 9,5 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 10 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 10,5 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 11 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 11,5 | ცალი | 15 |
| | | თითისებრი 12 | ცალი | 15 |
| | დისკო | ქვის რკინის საჭრელი (ბალგარკისათვის) 180 X 3.0 X 22,23 | ცალი | 10 |
| 2 | ბურღი | ელექტრო (დრელი) 220ვ-1000ვტ 1500-2000ბრ ორმხრივი ბრუნვით | ცალი | 2 |
| | საჭრელი | ელექტრო (ბალგარკა) 220ვ 1000ვტ 2500ბრ | ცალი | 2 |
| | ჩაქუჩი | ელექტრო (ვიბრო) 220ვ 1000ვტ | ცალი | 1 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული სამღებრო მასალებისა და ინვენტარის შესყიდვის შესახებ ტენდერის დამატება

შპს ,,საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 9 მაისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სამღებრო მასალები და ინვენტარი შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში №1 ლოტში გაიზარდა შავი, ლურჯი და მწვანე ფერის ზეთოვანი ემალის საღებავების რაოდენობები შემდეგნაირად:

**ა) შავი** ფერის ზეთოვანი ემალის საღებავის რაოდენობა ნაცვლად 300 კგ-სა განისაზღვროს **380კგ-ით;**

**ბ) ლურჯი** ფერის ზეთოვანი ემალის საღებავის რაოდენობა ნაცვლად 200 კგ-სა განისაზღვროს **400 კგ-ით;**

**გ) მწვანე** ფერის ზეთოვანი ემალის საღებავის რაოდენობა ნაცვლად 1 500 კგ-სა განისაზღვროს **1 700 კგ-ით;**

საბოლოოდ შესყიდვის ობიექტის №1 ლოტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | ევრო სატნდარტებით | თეთრი | კგ | 1 000 |
| | სერთიფიცირებული ზეთოვანი ემალის საღებავები, მეტალზე სამუშაოდ (გარე გამოყენებისათვის) | **შავი** | | ~~300~~ **380** |
| | | კრემისფერი | | 300 |
| | | **ლურჯი** | | ~~200~~ **400** |
| | | **მწვანე** | | ~~1 500~~ **1 700** |
| | | რუხი | | 1 500 |
| | | ყავისფერი | | 500 |
| | | წითელი | | 500 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული სამღებრო მასალებისა და ინვენტარის შესყიდვის შესახებ ტენდერის დამატება

შპს ,,საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 9 მაისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სამღებრო მასალები და ინვენტარი შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში №1 ლოტში გაიზარდა შავი, ლურჯი და მწვანე ფერის ზეთოვანი ემალის საღებავების რაოდენობები შემდეგნაირად:

**ა) შავი** ფერის ზეთოვანი ემალის საღებავის რაოდენობა ნაცვლად 300 კგ-სა განისაზღვროს **380კგ-ით;**

**ბ) ლურჯი** ფერის ზეთოვანი ემალის საღებავის რაოდენობა ნაცვლად 200 კგ-სა განისაზღვროს **400 კგ-ით;**

**გ) მწვანე** ფერის ზეთოვანი ემალის საღებავის რაოდენობა ნაცვლად 1 500 კგ-სა განისაზღვროს **1 700 კგ-ით;**

საბოლოოდ შესყიდვის ობიექტის №1 ლოტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | ევრო სატნდარტებით | თეთრი | კგ | 1 000 |
| | სერთიფიცირებული ზეთოვანი ემალის საღებავები, მეტალზე სამუშაოდ (გარე გამოყენებისათვის) | **შავი** | | ~~300~~ **380** |
| | | კრემისფერი | | 300 |
| | | **ლურჯი** | | ~~200~~ **400** |
| | | **მწვანე** | | ~~1 500~~ **1 700** |
| | | რუხი | | 1 500 |
| | | ყავისფერი | | 500 |
| | | წითელი | | 500 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>

# სპორტი

## შოთა არველაძე არჩევანის წინაშე

### "აიაქსი" თუ "ალკმაარი"

მიხეილ აბაიშვილი

მას შემდეგ, რაც ლუი ვან გაალმა ალკმაარი დატოვა, გაურკვეველია, რა ბედის ელის შოთა არველაძეს, რომელიც ალკმაარში ვან გაალის ასისტენტად მუშაობდა. ერთხანს ამბობდნენ, რომ არველაძე ვან გაალს ბაიერნში გაჰყვებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა შოთას კიდევ ერთი ვარიანტი გამოუჩნდა. სულ ცოტა ხნის წინათ თანამდებობა დატოვა ამსტერდამის აიაქსის მთავარმა მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა. ამსტერდამული კლუბის მესვეურებს ვან ბასტენის თანამდებობაზე დანიელი მორტენ ოლსენის მიწვევა სურთ, რომელიც თავის დროზე წვრთნიდა "აიაქსს და ტრაბზონიდან სწორედ მან გადაიყვანა ქართველი ფორვარდი ჰოლანდიურ გრანდში. მიუხედავად იმისა, რომ ოლსენი ახლა დანიის ნაკრებს უდგას სათავეში, აიაქსის მესვეურები მზად არიან გამოისყიდონ მწვრთნელის კონტრაქტი. მეტიც, ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელობა შოთა არველაძესაც შეხვდა და შესაძლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

ახლა შოთა არველაძე თბილისშია და "ალკმაარის" დაძაბული, თანაც საჩემპიონო სეზონის შემდეგ ისვენებს. გთავაზობთ საქართველოს ნაკრების საუკეთესო ბომბარდირის კომენტარს მის სამომავლო სამწვრთნელო კარიერასთან დაკავშირებით.

**- "აიაქსი" თუ "ალკმაარი"?**

- არც ერთს გამოვრიცხავ და არც მეორეს. არ დაგიმალავთ, რომ ჩემი სიმპათიები "აიაქსის" მხარესაა. კლუბის ხელმძღვანელობისგან უკვე მივიღე შემოთავაზება. ამ საკითხზე "აიაქსის" ტექნიკურ დირექტორს დენი ბლინდს უკვე ვესაუბრე. თუ საბოლოოდ მაინც ამსტერდამულ ვარიანტზე შევჩერდი, "ალკმაარიც" ძალზე დამენანება. ამ გუნდთან ბევრი რამ მაკავშირებს და საჩემპიონო სეზონიც ერთად გადავიტანეთ. გუნდში მთავარ მწვრთნელად მოვიდა რონალდ კუმანი, რომელსაც უკვე ვესაუბრე. მას სურს, რომ მთავარი მწვრთნელის თანაშემწის პოსტზე გავაგრძელო მუშაობა. კლუბის ხელმძღვანელობამაც შემომთავაზა ახალი კონტრაქტი.

**- სავარაუდოა, რომ "აიაქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტს დანიელი მორტენ ოლსენი დაიკავებს. აქვს თუ არა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ შენი კარიერა "აიაქსში" გაგრძელდეს?**

- არა. დენი ბლინდის თქმით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დაინიშნება ამსტერდამული კლუბის მთავარ მწვრთნელად, მათ უნდათ, რომ მე "აიაქსში" წავიდე. მეტიც, ბლინდმა მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელის თანაშემწის თანამდებობაზე რამდენიმე ხანს ვიმუშავებ და გამოცდილებას დავაგროვებ, მთავარი მწვრთნელის პოსტს შემომთავაზებენ.

**- როდის გადაწყვეტ, რომელ კლუბში გააგრძელებ მუშაობას?**

- ახლა ვისვენებ. თბილისში კიდევ 10-12 დღეს დავრჩები. მერე ჰოლანდიაში დავბრუნდები და გადაწყვეტილებასაც იქ მივიღებ.

**- სხვა სერიოზული წინადადებებიც ხომ არ გაქვს?**

- თურქეთის რამდენიმე კლუბი, მათ შორის "ტრაბზონსპორი", მთავაზობს მთავარ მწვრთნელობას, მაგრამ ამ წინადადებებს არ განვიხილავ. რომელიმე ჰოლანდიურ ვარიანტს ავირჩევ.



*დარჩება თუ არა შოთა არველაძე კუმანის თანაშემწედ, ამას მომავალი გვიჩვენებს*

## მხოლოდ მარკოიშვილი "ბკ კიევს" ვერ მოაგებინებს

უკრაინის საკალათბურთო ჩემპიონატში გრძელდება ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლა. მცირე ფინალში მანუჩარ მარკოიშვილის ბკ კიევი და ხიმკი უპირისპირდებიან ერთმანეთს.

სერიის პირველ ორ შეხვედრას უკრაინის დედაქალაქმა უმასპინძლა. პირველ მატჩში მანუს ბრწყინვალე თამაშის წყალობით კიეველებმა მოიგეს, მეორეში კი მასპინძლებს ქართველმა კალათბურთელმაც ვეღარ უშველა, თუმცა მანუ კარგად გაისარჯა და მოედანზეც საუკეთესო იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში.

სერიის მეორე მატჩი შახტარისა და ვერდერის ფინალურ თამაშს დაემთხვა, ამიტომ დარბაზში არც ისე ბევრი მაყურებელი იყო. კიეველებმა მატჩი სუსტად ჩაატარეს. თავად განსაჯეთ: გუნდმა სულ რაღაც 55 ქულა დააგროვა, მაშინ როდესაც ხიმკის დაცვა განსაკუთრებული სიძლიერით არ გამოირჩევა. კიეველთა დაბალი შედეგიანობის მიზეზი იყო არა მეტოქე გუნდის დაცვის კარგი თამაში, არამედ საკუთარი უნიათობა. მასპინძელთა გუნდიდან კალათბურთს თამაშობდა მხოლოდ მარკოიშვილი, რომელმაც 25 წუთში 21 ქულა დააგროვა. ამას 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 შედეგიანი გადაცემაც დაუმატა. მან 14-დან 7 ორქულიანი, 7-დან 2 სამქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ბურთი 4-ჯერ დაკარგა, მოედანი კი 5 პერსონალური ფოლის გამო დატოვა.

მატჩი ხიმკის გამარჯვებით - 63:55 დასრულდა. კიეველთა სუსტ თამაშზე ისიც მეტყველებს, რომ გადამწყვეტ მეოთხე მეოთხედში გუნდმა 11 ქულაზე მეტი ვერ დააგროვა. ამრიგად, სერიაში ანგარიში გათანაბრდა. მომდევნო ორი მატჩი ხიმკის საშინაო მოედანზე გაიმართება. კიეველებს მოედნის უპირატესობის დასაბრუნებლად სტუმრად ერთი მატჩის მოგება მაინც სჭირდებათ, მაგრამ თუ გუნდმა ასევე გააგრძელა თამაში, ეს ძალიან ძნელი იქნება.




*მარკოიშვილის გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა*

### ლევან მჭედლიძეს "ატალანტასთვის" ამზადებენ

მცირე ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ლევან მჭედლიძემ - "პალერმოს" ახალგაზრდა თავდამსხმელი გუნდთან ერთად ემზადება იტალიის სერია ა-ს ბოლოსწინა ტურის მატჩისთვის, რომელიც 24 მაისს ბერგამოში "ატალანტას" წინააღმდეგ გაიმართება. "პალერმო" ჩემპიონატში მე-7 ადგილზეა და კარგი შანსი აქვს მომავალი სეზონისთვის ევროპის ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვოს.

### ქართული ჰოკეის აღიარება

ჩვენი ჰოკეი მსოფლიო ფერხულში ჩაება - საქართველოს ჰოკეის ფედერაცია IIHF-ის ასოცირებული წევრი გახდა!

ბერნის კონგრესმა 67-ე წევრად მიიღო კუვეიტი, ხოლო 68-ედ - საქართველო.

კონგრესზე საქართველოს საკითხს სომხეთის დელეგაცია ლობირებდა. ჩვენი მეზობელიც ასოცირებული წევრია.

მალე შეიქმნება კავკასიის ლიგა, რომელშიც საქართველოსა და სომხეთის გუნდები ითამაშებენ. სომხებს დახურული საერთაშორისო სტანდარტების მოედანი აქვთ და მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონატის III დივიზიონს მასპინძლობენ.

### "ბორჯღალოსნები" არგენტინას თბილისში შეხვდებიან

შემოდგომაზე საქართველოს ნაკრებს სერიოზული ტესტები ელის - წინასწარი მოლაპარაკების მიხედვით, ნოემბერში თბილისში ჩამოვა არგენტინის ა ნაკრები, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ორ ტესტ-მატჩს გამართავს. მანამდე, 27 მაისს, ჩვენი დელეგაცია მიემგზავრება აშშ-ში, სადაც კოლორადოს შტატში "ჩერჩილის" თასის გათამაშებაში ჩაებმება. შეგახსენებთ, რომ "ბორჯღალოსნები" ა ჯგუფში მოხვდნენ კანადასა და ირლანდიის ა ნაკრებებთან ერთად. ბ ჯგუფში არიან აშშ-ს, არგენტინისა და ინგლისის ა ნაკრებები. პირველ მატჩს ტიმ ლეინის რაზმი 6 ივნისს კანადასთან გლენდეილის "ინფინიტი პარკზე" გამართავს.

### რომაულ ფინალში ანრი და ინიესტა ითამაშებენ

ბარსელონას ქომაგებს ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ სერიოზული თავსატკივარი გაუჩნდათ. მარკესი ტრავმირებულია, აბიდალი და დანი ალვეში ფინალს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებენ, მცირე ტრავმები ჰქონდათ ინიესტას და ანრის. ერთხანს ისიც კი ითქვა, რომ გუნდის ეს ორი ლიდერი რომაულ ფინალში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. გუშინ ბარსელონას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდამსხმელი ტიერი ანრი და ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა მანჩესტერ იუნაიტედთან ჩემპიონთა ლიგის მატჩში საასპარეზოდ მზად იქნებიან.

ფეხბურთელები ტრავმებს იშუშებენ. მათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშის დიდი იმედი აქვთ. თუ სხვა ფაქტორები არ ჩაერთო, ისინი 27 მაისისთვის უნდა გამოჯანმრთელდნენ , - ამბობს ბარსას წარმომადგენელი.

### მიატოვიჩმა "რეალი" დატოვა

მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის 16 იანვარს თანამდებობიდან გადადგა მადრიდის რეალის რეზიდენტი ვისენტე კალდერონი, ცხადი გახდა, რომ თანამდებობის დატოვება მოუწევდა კლუბის სპორტულ დლირექტორს პრედრაგ მიატოვიჩსაც, რომელმაც იმ პერიოდში, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობდა, გულშემატკივართა რისხვა დაიმსახურა. და აი, ოფიციალურად გაცხადდა, რომ მიატოვიჩი რეალში აღარ მუშაობს. რეალისა და სერბეთის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტამდე მიაღწია კლუბთან შეთანხმებას და ახალი პრეზიდენტის არჩევას აღარ დაელოდა.

თუ 14 ივნისს გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებს ფლორენტინო პერესი მოიგებს, სპორტული დირექტორის პოსტზე შესაძლოა ხორხე ვალდანო დააბრუნონ ან ეს თანამდებობა ზინედინ ზიდანს ჩააბარონ.

## კუარეჟმა მილანში დააბრუნეს

ინტერის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო თავის თანამემამულე რიკარდო კუარეჟმას მეორე შანსს მისცემს. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი სეზონის დასაწყისში ინტერმა ფიგუს სავარაუდო შემცვლელად იყიდა, თუმცა კუარეჟმამ არ გაამართლა - ზამთარში ის იჯარით გაუშვეს ჩელსიში". პორტუგალიელმა ვერც ინგლისურ კლუბში მოიკიდა ფეხი და ახლა ისევ ინტერში დაბრუნებას აპირებს.

შეიძლება ის ჩვენთან დაბრუნდეს, მაგრამ ამავე დროს მან სხვა განწყობა უნდა გვიჩვენოს, იმისგან განსხვავებული, რაც აქ მისი ყოფნის პირველ თვეებში ვიხილეთ. ახლა სხვა პორტუგალიელი ფეხბურთელების შეძენაზე არ ვფიქრობ, თუმცა ეს კუარეჟმასთან უსიამოვნო გამოცდილების გამო არ ხდება. უბრალოდ, სატრანსფერი ბაზარზე ასე აეწყო სიტუაცია. პორტუგალიაში ვერავის ვხედავ, ვინც დამაინტერესებდა. შეიძლება იმ პორტუგალიელებს შევხედოთ, რომლებიც სამშობლოში არ ასპარეზობენ, - განაცხადა მოურინიომ.

## "ნერაძურიმ" ავსტრიელ ფორვარდს დაადგა თვალი

ჰოლანდიური "ტვენტეს" ახალგაზრდა ავსტრიელი თავდამსხმელი მარკო არნაუტოვიჩი, შესაძლოა, "ინტერის" ფეხბურთელი გახდეს. ამის დაჯერება ძნელია, მაგრამ იტალიური მედია ირწმუნება, რომ ნერაძურის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს მის შესაძენად.

არნაუტოვიჩი ითვლება უნივერსალურ ფორვარდად, რომელიც ერთნაირი წარმატებით თამაშობს როგორც შეტევის დამაგვირგვინებლის როლში, ისე პლეიმეიკერის პოზიციაზე. იტალიური მედიის თქმით, მოურინიო სწორედ ისეთ ფეხბურთელს ეძებს, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც თავდასხმაში, ისე ფორვარდთა უკან.

იტალიური მედია იმასაც ამბობს, რომ საქმე იმაზე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს. მედიის ინფორმაციით, არნაუტოვიჩის აგენტი "ინტერის" ხელმძღვანელებს უკვე შეხვდა და მათთან ფეხბურთელის კონტრაქტიც შეათანხმა - სავარაუდოდ, "ნერაძურისა" და 20 წლის ფეხბურთელს შორის ხუთწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება, ფორვარდი კი ყოველ სეზონში ორ მილიონ ფუნტს მიიღებს. ერთადერთი წინააღმდეგობა, რამაც შესაძლოა ამ ტრანსფერის გაფორმებას ხელი შეუშალოს, "ტვენტეს" ხელმძღვანელთა პოზიციაა - "ინტერი" დღესვე მზადაა, ახალგაზრდა ავსტრიელის სანაცვლოდ 12 მილიონი ფუნტი გადაიხადოს, ჰოლანდიელები კი 15 მილიონს ჯერჯერობით ფეხს არ უცვლიან.

## კასანო დაცვაში

კასანო იმდენად მოწყურებულია იტალიის ნაკრებში თამაშს, რომ თავად მიმართა სკუადრა აძურას მთავარ მწვრთნელს მარჩელო ლიპის. დაცვაშიც კი ვითამაშებ! კონფედერაციის თასზე გამოსვლა ძალიან გამეხარდება. მზად ვარ ნაკრებში 23-ე ფეხბურთელი ვიყო და მარცხენა ან მარჯვენა მცველად ვითამაშო. ლიპისთან პრობლემები არასდროს მქონია, მას პატივს ვცემ. მიმდინარე სეზონში სამპდორიას მიერ ნაჩვენები შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ ნაკრებში გამომიძახებენ. ასეც რომ არ მოხდეს, ლიპიზე ცუდს მაინც არაფერს ვიტყვი, - თქვა კასანომ.

## რანიერის რომში იწვევენ

ტურინის "იუვენტუსიდან" გაძევებულმა კლაუდიო რანიერიმ შესაძლოა რომის ლაციოში გააგრძელოს სამწვრთნელო კარიერა. იტალიური მედიის ინფორმაციით, "ლაციალეს" პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს ძალიან უნდა, რომ თავისი გუნდის გაწვრთნა "ბებერი სინიორას" ყოფილ თავკაცს დაავალოს. ახლა ლაციოს სათავეში უდგას დელიო როსი, რომლის თავკაცობითაც რამდენიმე დღის წინ დედაქალაქურმა გუნდმა იტალიის თასი მოიგო, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას ეს საკმარისად არ მიაჩნია და სეზონის ბოლოს მწვრთნელი თანამდებობას მაინც დატოვებს.

იტალიური პრესის მტკიცებით, ყველაფერი სეზონის დასრულების შემდეგ გაირკვევა, ლოტიტო კი მზადაა, რანიერის უახლოეს დღეებში შეხვდეს და მასთან მომავალი კონტრაქტის პირობები განიხილოს. თუმცა არსებობს ერთი დეტალი, რომელმაც შესაძლოა კონტრაქტის გაფორმებას ხელი შეუშალოს. საქმე ის არის, რომ ფაქტობრივად რანიერი ახლაც იუვესში ირიცხება, მასთან კლუბს კონტრაქტი არ გაუწყვეტია, მწვრთნელი უბრალოდ საქმიანობას ჩამოაშორეს და ხელფასს უხდიან. რანიერი საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებს ჩივილს, რათა ტურინელებთან ოფიციალურად გაწყვიტოს კონტრაქტი და გუნდის ხელმძღვანელობას კომპენსაცია გადაახდევინოს.

# თითო მოგების მოლოდინში

ტოკიოში მიმდინარე მაისის ბაშოზე ქართველ სუმოისტებს თითო მოგება სჭირდებათ იმისთვის, რომ ტურნირი დადებითი ბალანსით დაასრულონ და რეიტინგში წინ წაიწიონ.

ტოჩინოშინს გუშინდლამდე ჰქონდა აქტივში შვიდი მოგება და შეეძლო საქმე გუშინვე მოეთავებინა, მაგრამ ლევან გორგაძემ აღმოსავლეთის მეშვიდე მაიგაშირა ასასეკირუსთან იორიკირის ილეთით დათმო ბრძოლა და ახლა დარჩენილ სამ დღეში ერთი პაექრობის მოგება სჭირდება. ასასეკირუსთვის ტოჩინოშინთან ბრძოლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო - მარცხის შემთხვევაში მას რეიტინგში დაქვეითება ემუქრებოდა, ახლა კი მან ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსი შეინარჩუნა.


კოკაიმ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა

ტოჩინოშინისგან განსხვავებით, იმარჯვა კოკაიმ. მან აღმოსავლეთის მერვე მაიგაშირა ივაკიამა უვატედაშინაგეს ილეთით დასცა დოჰიოზე და აქტივში მეშვიდე გამარჯვება ჩაიწერა.

უცვლელია მდგომარეობა ლიდერთა შორის. ჰარუმაფუჯის და ჰაკუჰოს 12-12 გამარჯვება აქვთ. მათ ერთი გამარჯვებით ჩამორჩება ასოშორიუ.

დღეს ტურნირის მეცამეტე დღეა. დოჰიოზე პირველი ტოჩინოშინი გამოვა. მას ძუროს დივიზიონში მოასპარეზე ტოსაუტაკა უნდა შეხვდეს, რომელსაც ქვედა დივიზიონში 8 გამარჯვება აქვს მოპოვებული. ტოჩინოშინს ელიტაში მოხვედრისთვის მებრძოლი სუმოისტის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს.

კოკაის მეტოქე იქნება აღმოსავლეთის მეათე მაიგაშირა ფუტენო, რომელიც წარმატებით ვერ დაიკვეხნის - მაისის ბაშოზე გამართული თორმეტი ბრძოლიდან შვიდი წააგო და შესაძლოა კოკაიმ ის საბოლოოდ გაწიროს უარყოფითი ბალანსისთვის.

დღის ცენტრალური შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება. ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან ბაშოს ლიდერები - ოძეკი ჰარუმაფუჯი და იოკოძუნა ჰაკუჰო.

# კლიჩკოს H1N1 არ აშინებს

გიგა გურასაშვილი

*კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონს ვიტალი კლიჩკოს რუსი ნიკოლაი ვალუევისა და უზბეკი რუსლან ჩაგაევის ორთაბრძოლაში (30 მაისი, "ჰარტვალ არენა", ჰელსინკი, ფინეთი) ვალუევის გულშემატკივრობა განუზრახავს და ამის მიზეზსაც განმარტავს. კრივის გარდა, უკრაინელი გიგანტი ღორის გრიპზეც საუბრობს. უფრო სწორად, იმაზე, თუ რატომ არ ეშინიათ უკრაინელებს სასიკვდილო ვირუსის.*


ჩაგაევსა და ვალუევს ფინეთის დედაქალაქში ელიან

იმედი მაქვს, რომ ჩაგაევთან (25 გამარჯვება, აქედან 17 ნოკაუტით და 1 ფრე) ჩხუბში ვალუევი (50 გამარჯვება, აქედან 34 ნოკაუტით და 1 წაგება) გაიმარჯვებს, - ვეება რუსს გულშემატკივრობს კლიჩკო, - ნიკოლაის წარმატებისთვის სანთელიც კი დავანთე. აქ არაფერია განსაკუთრებული. ეს სუფთა ბიზნესია. ბევრად საინტერესოა რუს გიგანტს შევხვდე. თუნდაც იმიტომ, რომ ის ასეთი დიდია. ამასთან, ის მსოფლიო ჩემპიონია. ჩემპიონიც რომ არ ყოფილიყო, მაინც არანაკლებ ინტერესს დაიმსახურებდა .

საკუთარი ძმის - ვლადიმირისა და ბრიტანელი დევიდ ჰეის 20 ივნისის ( ველტინს არენა , გელზენკირხენი, გერმანია) შერკინებაზე საუბრისას უკრაინელი ამბობს, რომ ალბიონელი არაორდინარული საქციელით გამოირჩევა (დევიდ ჰეი ვლადიმირ კლიჩკოს დაემუქრა, რინგზე თავს მოვაჭრიო). მან არა მარტო ჩემს ძმას მოაჭრა თავი, არამედ მეც. ცდილობს სხვების თვალში საკუთარი თავი წარმოაჩინოს არაორდინარული რეპუტაციის მქონე შოუმენად.

ვფიქრობ, ვლადიმირი (52 გამარჯვება, აქედან 46 ნოკაუტით და 3 წაგება) შეძლებს ყველაზე კორექტულად გასცეს ღირსეული პასუხი, ისეთი, როგორსაც იმსახურებს ბრიტანელი (22 გამარჯვება, აქედან 21 ნოკაუტით და 1 წაგება). მტკიცედ მწამს, რომ ვლადიმირი ყველაფერს გააკეთებს გამარჯვებისთვის. ვლადიმირისა და დევიდ ჰეის ორთაბრძოლის ტელეტრანსლაციათა უფლება 115 ქვეყანაში შეიძინეს. ვფიქრობ, მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება. იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ 20 ივნისს გამარჯვების აღსანიშნავად უკრაინის ჰიმნი აჟღერდება .

ვიტალი კლიჩკო საკუთარ ემოციაზეც საუბრობს, იმ ემოციაზე, რომელიც რინგზე საკუთარი ძმის ცქერისას ეუფლება: აქ განცდების ადგილი არ არის. ემოცია რინგზე ვერ გიშველის. ამ ყველაფერს მხოლოდ შეცდომებთან მივყავართ. იმედი მაქვს, ემოცია არ იქნება. ყველაფერი ვლადიმირზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, შეძლებს საკუთარი ოსტატობის დამტკიცებას. მჯერა, რომ პროფესიული კრივის საუკეთესო მძიმეწონოსნის წოდებას შეინარჩუნებს .

რაც შეეხება იმას, ეშინია თუ არა ვიტალის ღორის გრიპის, კრივის მსოფლიო საბჭოს ჩემპიონი განმარტავს: უკრაინელებს კარგი იმუნიტეტი გვაქვს იმისთვის, რომ ღორის გრიპით არ დავსნეულდეთ. იცით, რატომ? ძალიან ბევრ ქონს მივირთმევთ .

# ნადალს ლონდონისკენ მიეჩქარება

*წლის შემაჯამებელ ტურნირზე გამოსვლა აქედანვე გადაწყვეტილი აქვს მსოფლიოს პირველ ჩოგანს რაფაელ ნადალს. ეს მოხდება ნოემბერში, ლონდონის "O2 არენაზე".*

ეს ის ტურნირია, რომელშიც მონაწილეობს სეზონის შედეგების მიხედვით საუკეთესო რვა ჩოგბურთელი და ამდენივე საუკეთესო წყვილი. შემაჯამებელი ტურნირის არსი კი ის არის, რომ გამარჯვებულს ოფიციალურად ენიჭება ტურების ჩემპიონის წოდება.

რაფაელ ნადალმა სეზონი ჩინებულად დაიწყო. წარმატებებს ავსტრალიის ღია ჩემპიონატიდან შეუდგა, რასაც მოჰყვა ინდიანა უელსის, მონტე კარლოსა და რომის მასტერსის სერიათა ტურნირებზე გამარჯვება. 22 წლის ესპანელი ახლოს იყო გამარჯვებასთან მადრიდის მასტერსზეც , მაგრამ იქ როჯერ ფედერერი აღმოჩნდა საუკეთესო.

ბედნიერი ვარ — World Tour Finals-ში მონაწილეობის უფლებით, - აცხადებს ესპანელი, - მიმდინარე სეზონში ეს ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო. მიხარია, რომ მიზანს მივაღწიე. ლონდონთან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. შარშან უიმბლდონი მოვიგე, Queen's Club-ში გავხდი პირველი ნომერი. მოუთმენლად ველი იმ დროს, როდესაც ნაცნობ ადგილზე დავდგები და ისევ შევიგრძნობ ადგილობრივი გულშემატკივრის მხარდაჭერას .

# უკრაინული ზეიმი თურქეთში




˝შახტარი˝ გამარჯვებას ზეიმობს

ოთხშაბათს სტამბულში უეფას თასის ფინალური მატჩის დასრულებისთანავე დასრულდა ეპოქა თანამედროვე ფეხბურთში, რომელსაც უეფას თასის გათამაშება ეწოდებოდა. უკრაინულმა შახტარმა სამუდამოდ შეაბიჯა ფეხბურთის ისტორიაში, როგორც უეფას თასის გათამაშების უკანასკნელმა გამარჯვებულმა.

მომავალი სეზონიდან სხვა ტურნირს ვიხილავთ. უეფას მაღალჩინოსნებმა, კერძოდ, მიშელ პლატინიმ საფეხბურთო ევროპას ჩემპიონთა ლიგის უმცროსი ძმა შესთავაზა. გაამართლებს თუ არა პლატინის შვილობილი ტურნირი, ძნელი სათქმელია. ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ კი აშკარაა: უეფას თასის გათამაშებამ იმ ფორმატით, რომლითაც არსებობდა, საკუთარი თავი ამოწურა. ბოლო წლებში უეფას თასის გათამაშება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატს დაემსგავსა. საუკეთესო ხუთეულის წარმომადგენლები ამ ტურნირისთვის თავს არ იწუხებდნენ. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ უეფას თასი ერთმანეთის მიყოლებით მოიგეს ცსკამ, ზენიტმა და ახლა შახტარმა .

როგორი იქნება პლატინის მიერ მოგონილი ევროპული ლიგა, ამას მომავალ სეზონში ვნახავთ. ახლა კი უეფას თასის უკანასკნელ ფინალზე ვისაუბროთ. შახტარმა ტურნირი დამსახურებულად მოიგო. უკრაინული გუნდი უფრო მოტივირებული ჩანდა და მირჩა ლუჩესკუს შეგირდებმა საწადელს მიაღწიეს.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ჟურნალისტებთან. ცხადია, შახტარისა და ვერდერის ბანაკში რადიკალურად განსხვავებული განწყობა იყო.

**მირჩა ლუჩესკუ ("შახტარის" მთავარი მწვრთნელი):** ფანტასტიკური ჯილდოა. თვითკმაყოფილების გრძნობა დამეუფლა. თუმცა ჩვენ მეტი გვსურს. წარმატებას ჩემპიონთა ლიგაში უნდა მივაღწიოთ. ეს გამარჯვება კი დაგვეხმარება იმაში, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და ნახევარფინალში თამაშისთვის აუცილებელი გამოცდილება შევიძინოთ. ჩემი მიზანია გუნდი უფრო გავაძლიერო, კიდევ უფრო უკეთესი გავხადო, ვიდრე დღესაა. მინდა, ამ სურვილით ფეხბურთელებიც იყვნენ შეპყრობილი. აღმოსავლეთ ევროპის გუნდებისთვის ახლა მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგაა. ჩვენ გვაქვს მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში წარმატებისთვის ყოველთვის რაღაც გვაკლდა. ეს ალბათ ადგილობრივი ჩემპიონატის დაბალი დონეა. თუმცა ახლა, ამ გამარჯვების შემდეგ, ვფიქრობ, დადგა დრო, ჩემპიონთა ლიგა აღმოსავლეთ ევროპის გუნდმა მოიგოს და შევეცდებით ეს მომავალ სეზონში გავაკეთოთ. ძალიან მახარებს ჩვენი ბრაზილიელების კარგი თამაში. უკრაინაში მათ კარგად იცნობენ, ბრაზილიაში კი - არა. იმედი მაქვს, უეფას თასზე ნაჩვენები ბრწყინვალე თამაშის შემდეგ მათ დუნგაც მიაქცევს ყურადღებას. ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია მარტივია. ვაშენებ გუნდს და ვცდილობ შანსი მივცე ახალგაზრდებს. როგორც ხედავთ, ეს ფილოსოფია ამართლებს.

**თომას შააფი ("ვერდერის" მთავარი მწვრთნელი):** როცა აგებ, ცხადია, იმედგაცრუებული ხარ. მაგრამ სეზონი ჯერ არ დასრულებულა. შაბათს ვოლფსბურგთან გვაქვს გასვლითი მატჩი, შემდეგ კი ბერლინში გერმანიის თასის ფინალს ვითამაშებთ. აუცილებელია დღეს დაშვებული შეცდომები გავაანალიზოთ და დარჩენილ ორ შეხვედრაში სრული ძალისხმევით გავიდეთ მინდორზე. გერმანიის თასის ფინალი გრანდიოზული ღონისძიებაა. სწორედ იმ თასის მოგებით უნდა აღვიდგინოთ შელახული რენომე. იმედგაცრუება და სიბრაზის გრძნობა მახრჩობს, მაგრამ ხვალ ახალი დღეა და ეს მარცხი წარსულში უნდა დავტოვოთ. მარცხის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ მეტოქეს საკუთარი თამაშის სტილი ვერ მოვახვიეთ თავს, ვერ ვუტევდით ისე, როგორც შეგვიძლია. ვიცოდი, შახტარში სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელები თამაშობენ და მათი შესაჩერებლად მინდვრის ცენტრში ბურთი უნდა გვეკონტროლებინა. სწორედ ეს ვერ შევძელით. ეს მწარე გაკვეთილი კარგად უნდა გვახსოვდეს .

**დიეგო ("ვერდერის" პლეიმეიკერი, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა მატჩი):** პირველ ტაიმში ჩვენი გუნდი არ იყო თამაშზე კონცენტრირებული და ამის გამო უამრავი პრობლემა შეგვექმნა. შესვენების შემდეგ უკეთ ვითამაშეთ, თუმცა შახტარი ძლიერი გუნდია და დამსახურებულად მოიგო. ახლა მთავარია გერმანიის თასის ფინალში გავიმარჯვოთ და სეზონი წარმატებულად ჩაითვლება .

**ტორსტენ ფრინგსი ("ვერდერის" ნახევარმცველი):** ეს მარცხი ჩვენთვის უდიდესი დარტყმაა. ურიგოდ არ გვითამაშია და ეს კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. არც ისე ხშირად გეძლევა შანსი, მოიგო რაიმე მნიშვნელოვანი ჯილდო და ჩვენ ეს შანსი ხელიდან გავუშვით. ახლა იმითღა შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, თუ გერმანიის თასს მოვიგებთ .

**ფერნანდინიო ("შახტარის" ნახევარმცველი):** ვფიქრობ, მეტი უნდა გაგვეტანა. თუნდაც ის მომენტი გაიხსენეთ, როდესაც ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოვიყენე და ბურთი კარის ზემოთ დავარტყი. თავიდან გრძელი პასებით ვთამაშობდით. ამან მგონი არ გაამართლა. ზოგიერთის აზრით, შახტარში ტექნიკურ ფეხბურთს მხოლოდ ბრაზილიელები თამაშობენ. სისულელეა. უკრაინელებიც ტექნიკური ფეხბურთელები არიან. გამოგიტყდებით, გამარჯვებულისთვის განკუთვნილ მედალს გემო გავუსინჯე და მომეწონა.

**დარიო სრნა ("შახტარის" ნახევარმცველი):** ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ჩემს კარიერაში და ყველაზე დიდი სიხარული ჩემს ცხოვრებაში. შესაძლოა ანალოგიური გრძნობა მაშინ დამეუფლოს, როდესაც შვილი მეყოლება. ეს დიდი ზეიმია, რომელიც ჩვენ დავიმსახურეთ. ამ გამარჯვებისთვის ბევრი ვიმუშავეთ.

**დმიტრი ჩეგრინსკი ("შახტარის" მცველი):** უდიდესი საქმე გავაკეთეთ. შარშან ეს ტიტული ზენიტმა მოიგო, სამი წლის წინ - ცსკამ. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ იგივეს გაკეთებას ჩვენც შევძლებდით. შემთხვევით უეფას თასის მოგება შეუძლებელია. ასი პროცენტით გამარჯვებაში ვერასდროს ვერ იქნები დარწმუნებული. უკრაინის ჩემპიონატში სათამაშო მოტივაცია აღარ გვაქვს, თუმცა დარჩა უკრაინის თასი და ახლა დუბლისთვის ვიბრძოლებთ. ფინალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მადლობას ვუხდი თამაშის ორგანიზატორებს. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო მომზადებული .

## "ბრეშიამ" კავაზინის უხმო

იტალიური ბრეშიას მთავარ მწვრთნელად 53 წლის ალბერტო კავაზინი დაინიშნა. მან შეცვალა ნედო სონეტი, რომელიც კლუბმა გასულ სამშაბათს დაითხოვა.

კავაზინის ბოლო სამუშაო ადგილი იყო სერია B-ში მოასპარეზე ფროსინონე .

ასევე სერია B-ში მოთამაშე ბრეშიას 40 ტურის თავზე მე-4 ადგილი უკავია და თუ ეს პოზიცია შეინარჩუნა, სერია A-ში გადასასვლელ პლეი-ოფში ითამაშებს.

## უიღბლო ედუარდო

გასული წლის თებერვალში ლოდნონის არსენალისა და ბირმინგემის მატჩში უმძიმესი ტრავმა მიიღო მეთოფეთა ფორვარდმა ედუარდო და სილვამ. ხორვატიის ნაკრების 26 წლის ფორვარდს მეტოქესთან შეჯახებისას ფეხი მოსტყდა. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ერთხანს ექიმები ამბობდნენ, ედუარდოს ფეხბურთისთვის თავის დანებება მოუწევსო, თუმცა ერთწლიანი ინტენსიური მკურნალობის შემდეგ ფეხბურთელი მოედანს დაუბრუნდა და რამდენიმე მატჩში მონაწილეობაც კი მიიღო. როგორც ჩანს, დაბრუნება ნაადრევი გამოდგა - ნაოპერაციევმა კოჭმა დიდ დატვირთვას ვერ გაუძლო. ლონდონური კლუბის ექიმების განცხადებით, ედუარდოს კიდევ ერთხელ მოუხდა საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა.

"ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. სრული დატვირთვით ვარჯიშს ედუარდო, სავარაუდოდ, ივლისიდან დაიწყებს. ასე რომ, მომავალი სეზონისთვის მზად იქნება," - ასეთია ქირურგების ოპერაციისშემდგომი დასკვნა.

## ფერდინანდი მზადაა

მანჩესტერის მცველმა რიო ფერდინანდმა გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა, თუმცა შეძლებს თუ არა რიო ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშს, ეს ამ უქმეებზე გაირკვევა.

რიომ ვარჯიში დაიწყო და ეს მახარებს. ახლა ვნახოთ, რა იქნება. თუ ფერდინანდმა პრემიერლიგის დასკვნითი ტურის მატჩში ჰალთან თამაში შეძლო, ის რომაულ ფინალშიც ითამაშებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოლომდეც რომ გამოჯანმრთელდეს, ფინალში მის თამაშს ვერ გავრისკავ. შეუძლებელია, რომ ფეხბურთელი, რომელსაც სამი კვირა გაუცდა და პრაქტიკა საერთოდ არა აქვს, სეზონის უმთავრეს მატჩში ათამაშო , - აცხადებს ალექს ფერგიუსონი.

## ახალი კონტრაქტი

გერმანიის პირველი ბუნდესლიგის ლიდერის ვოლფსბურგის კაპიტანმა ჟოსეუმ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააგრძელა.

მიმდინარე სეზონში 29 წლის ბრაზილიელმა მცველმა გერმანიის ჩემპიონატში 32 მატჩი ჩაატარა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა.

ჟოსეუ ვოლფსბურგში" 2007 წელს ბრაზილიის სან პაულუდან გადავიდა. პირველ ბუნდესლიგაში 60 მატჩი გამართა და ერთხელ აიღო მეტოქის კარი.

1999 წლიდან მოყოლებული, ბრაზილიელმა 23-ჯერ დაიცვა ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსება და ერთი გოლი მიითვალა.

გერმანიის პირველობის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ვოლფსბურგი ლიდერობს და უახლოეს მდევარს - მიუნხენის ბაიერნს 2 ქულით ასწრებს. ბოლო ტურში ვოლფსბურგელები საკუთარ მოედანზე ბრემენის ვერდერს მიიღებენ.

## ნესტა ბრუნდება

იტალიური მილანის ვეტერანმა ალესანდრო ნესტამ, რომელმაც ტრავმების გამო გააცდინა სეზონი, ვარჯიში განაახლა.

33 წლის ფეხბურთელს მთელი სეზონის განმავლობაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა აწუხებდა, მათ შორის ზურგის ქრონიკული ტრავმაც.

ბოლო პერიოდში მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ცნობას, რომლის თანახმად ნესტა აქტიური საფეხბურთო კარიერის დასასრულებლად ემზადებოდა. სინამდვილეში ის აღდგენით პროცედურებს იტარებდა და უკვე სრულყოფილად მოასწრო ვარჯიში. ამიტომ, შესაძლოა, სერია A-ს ბოლო ორი მატჩიდან ერთ-ერთისთვის მაინც კარლო ანჩელოტიმ ის გუნდის განაცხადში შეიყვანოს.




# დაიპყარი მწვერვალი!

## გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
$325 000






Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შელანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.





Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge

IC MODEL MANAGEMENT kikala studio პიქსელი MEDI EST მედიესთეტიკის კლინიკათა ჯგუფი 24 საათი MUSIC BOX TV COSMOPOLITAN



## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის,ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;



## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**



24 საათი | The New York Times Articles selected for 24 საათი | Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;




**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 11 მაისს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "პროფიუნიტისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

სატენდერო განცხადება

**European Union** — **United Nations Development Programme**

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

**გამოაცხადოს ტენდერი**

**გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში წყალსადენისა და სარწყავი არხების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე**

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილი სახით ინგლისურ ენაზე დალუქულ კონვერტებში (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 15 ივნისის 17:00 სთ-მდე მისამართზე:
თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

საჭირო სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:
გაეროს განვითარების პროგრამა
ქ. გორი, სტალინის გამზირი №4
საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70, 8(55) 188 315
თეიმურაზ დალაქიშვილი

ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

## იყიდება!

**რუსული წარმოების "დრაბილკა", აღჭურვილი ტექნიკით.**
**ლიცენზია 80 000 კბ-ზე.**
**მდებარეობს მცხეთის რ-ნი**
**სოფელი ახალი ნიჩბისი.**
**ფასი: 350 000$**
**საკონტაქტო ტელეფონი: 877 24 44 84, ირაკლი**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ჩატარებული ფქვილის შესყიდვის ტენდერში გაიმარჯვა შპს "ფორტე"-მ და მასთან შედგენილია ხელშეკრულება ფქვილის შესყიდვაზე 2009 წლის 5 მაისს.

## განცხადება

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 8 მაისს გაზეთ 24საათი"-ს N100-ში გამოცხადებული ტენდერის მეორე ლოტი ჩამოყალიბდეს შემდეგნირად:

**ლოტი II. სოფ. ლაფანყურში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია და გაბიონის მოწყობა.**

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 250 7 31 05.

ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ 2009 წლის I კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ 2009 წლის I კვარტალში დადებულია 77 ხელშეკრულება.

აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა 2 ფასთა კოტირება: საავტომობილო საწვავის და ავტომანქანების შესყიდვაზე. სულ ფასთა კოტირების შედეგად დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 184800.25 ლარი.

საანგარიშო კვარტალში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 453917.56 ლარს.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვებისათვის ფაქტობრივად მიღებულმა თანხამ შეადგინა 443993.10 ლარი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს ქუთაისის ს/ც-ში, ზუგდიდის ს/ც-ში, ქ/ს "წყალტუბო-220"-ში, ქ/ს „ზუგდიდი 220"-ში და ქ/ს "მენჯი-220"-ში არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე **(ორი ლოტი).**

| ლოტის № | შესასრულებელი სამუშაოს დასახელება | სამუშაოს შესრულების სასურველი ვადები | მისამართი |
|---|---|---|---|
| ლოტი №1 | 1. სსე-ს ქუთაისის სერვის ცენტრის ოფისში სარემონტო სამუშაოები. | შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 40 დღე | ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ №2ა. |
| | 2. ქ/ს "წყალტუბო-220"-ის გარე ფასადის შეღებვა. | | წყალტუბოს რაიონი, სოფელი მაღლაკი. |
| ლოტი №2 | 1. ზუგდიდის სერვის ცენტრის ოფისში სარემონტო სამუშაოები. | შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 80 დღე | ქ.ზუგდიდი., რუსთაველის ქ №90 |
| | 2. ქ/ს „ზუგდიდი 220"-ში სარემონტო სამუშაოები | | ზუგდიდის რაიონი, სოფელი რუხი. |
| | 3. ქ/ს „მენჯი-220"-ში სარემონტო სამუშაოები | | ქ.სენაკი, ჯანაშიას ქ №2 |

სამუშაოების კონკრეტული ჩამონათვალი იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში).

**აუცილებელი პირობა:**

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1% ოდენობის, ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5% ოდენობის.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი **200 (ორასი) ლარის** ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ანგარიშზე: **სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, ა/ა 283534100, ს/კოდი: 204995176.** და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის ნომერი **T-0509 G-021.**

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 9 ივნისის 18:00 საათამდე.

დაფინანსების წყარო---შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 ივნისის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ .№2, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში, ოთახი №419.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2009 წლის 10 ივნისის 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისის შენობა, სათათბირო დარბაზი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია:

**იურიდიულ პირთათვის**

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

1. ცნობა ვალდის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის სახით. ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ ან რუსულ ენაზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი **№T-0509-G-021.**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ასევე თუ მიმდინარეობს პრეტენდენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითოეული ლოტის მიხედვით.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება თითოეული ლოტის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2.

საკონტაქტო პირი: შესყიდვების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი მაია ხაბეიშვილი. ტელ: +995 989816; მობ. 877 240458

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

გორის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 25 ივნისს, დღის 12 საათზე ქ. გორში, სამეფოს ქ. %50-ში სს მრეწვავტომატსაკი -ს (ს/ნ 217893572) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს ღია აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ცხელი და საშრობი საამქრო 541.25 კვ.მ - 34098 (ოცდათოთხმეტი ათას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი;
2. ცენტრალური საწყობი 196 კვ.მ - 10388 (ათი ათას სამას ოთხმოცდარვა) ლარი;
3. მიწა არასასოფლო 4094.75 კვ.მ - 53231 (ორმოცდაცამეტი ათას ორას ოცდათერთმეტი) ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს - 97717 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ჩვიდმეტი) ლარს.

ქონება მდებარეობს მისამართზე - **ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 9.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარუდგინონ გორის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე **(302006000)** წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ამ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი ან 5000 ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გორის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ გორის საგადასახადო ინსპექციას.

მისამართზე: ქ. გორის, სამეფოს ქ. №50.

ტელ: 8-270-73590; 8-270-75817.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობა შუამთის და ტობანიერის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების შესასყიდად აცხადებს ტენდერს და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2009 წლის 12 ივნისის 1700 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65, ადმინისტრაციული შენობის მე-III სართული, მუნიციპალური გამგეობის სატენდერო კომისია.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

იურიდიული პირებისათვის:

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

ბ. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება . . . . . . . რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია . . . . . . . . დავალიანება.

ე. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ფიზიკური პირისათვის:

ა. ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია . . . . . . . . დავალიანება.

დ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექცია)

ტენდერში მონაწილეობის მსურველები ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიიღებას შეძლებენ 2009 წლის 22 მაისის 12 საათიდან 12 ივნისის 1600 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. მისამართზე: ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65, მუნიციპალური გამგეობის სატენდერო კომისია.

სატენდერო მოსაკრებელი 200 /ორასი/ ლარი გადარიცხული უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკის ვანის ფილიალი, კოდი 220101454 ა/ა N33050017, სატენდერო მოსაკრებელი.

პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 15 ივნისის 10.00 სთ-ზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართონ: ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს დავით კაკაბაძეს. ტელ. 895 90 80 50

კომისიის წევრს-იოსებ მაღლაკელიძეს ტელ. 890 90 80 75; 895 90 80 75. მისამართზე ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65, ადმინისტრაციული შენობის მე-III სართული.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებელის გამზირი N141) აცხადებს ტენდერს ქ. ქობულეთში სანიაღვრე წყლების ანირების კონცეფციის შემუშავება-პროექტირების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.** შესყიდვის ობიექტი - ქ. ქობულეთში არსებული სანიაღვრე წყლების ანირების კონცეფციის შემუშავება-დაპროექტება;

**2.** კონცეპტუალური პროექტის მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე;

**3.** სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი 3 (სამი) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ქსერო-ასლი, დამოწმებული ნოტარიულად) სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 11 ივნისის 11:00 საათიდან 2009 წლის 11 ივნისის 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებელის გამზირი N141, მესამე სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებაში. სატენდერო წინადადებ(ებ)ის გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, სატენდერო წინადადების მიღების დასრულებისთანავე 2009 წლის 11 ივნისის 15:00 საათზე ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

**4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

*4.1. იურიდიული პირებისათვის:*
*ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;*
*ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;*
*გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;*

*4.2. ფიზიკური პირებისათვის:*

*ა) მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;*

*ბ) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;*

*გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ფიზიკური პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;*

*დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;*

*4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი(ები)სათვის:*
*ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (სასამართლოდან);*
*ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;*
*გ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;*
*დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთედ საჭიროებისამებრ);*
*ე) პრეტენდენტი პირების რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი გვარი, ტელეფონი/ფაქსი, მობილური, ელექტრონული ფოსტა --- **e-mail**).*
*ვ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;*
*ზ) ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტში;*
*თ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ აუდიტორული დასკვნით;*
*ი) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ (მომსახურების მითითება, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);*
*კ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ.შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;*

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

**5.** პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

**6.** თუ პრეტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აღმოჩნდება ყალბი ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**7.** სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღების დასახელება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ს/კ 247001890)
მიმღები ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101502
ანგარიში: 181589000
გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი - ქ. ქობულეთში არსებული სანიაღვრე სისტემის კონცეპტუალური შემუშავება-დაპროექტების შედგენის მომსახურების შესყიდვა.

**8.** სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 22 მაისის 11:00 საათიდან 2009 წლის 11 ივნისის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსრულველ პირს ზემოთაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**9**. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. Aალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**10.** დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ტელ: 6-69-16; მობ: 895 22-61-33, გია გოლიაძე; მობ: 855 12-91-53, გურამ ვერულიძე;

## განცხადება განმეორებითი ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს განმეორებით ტენდერს ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის 38-ე კილომეტრზე ავტომანქანების სადგომის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, ***მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერის დასახელება*** და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. **სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 22 მაისიდან 11 ივნისის 18:00 საათამდე.**

1. **შესყიდვის ობიექტი:**

**ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის 38-ე კილომეტრზე ავტომანქანების სადგომის მოწყობის სამუშაოები.**

2. სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე. დამატებითი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **12 ივნისის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (სამეწარმეო რეესტრიდან);
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ
(საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება
(საქალაქო სასამართლოდან);
5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები და მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.
8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.
9. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. **ტენდერი ჩატარდება 12 ივნისის** 15:00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
11. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია **1%-ის** ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს წინადადების მოქმედების ვადას) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია **2 %-ის** ოდენობით.
13. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით რეხვიაშვილი, ტელ. 41-11-69; 877 94-27-77, ნინო განჯელაშვილი 8 77 52-81-83.

**სატენდერო კომისია**

**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა
## განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) მიერ 2009 წლის 7 მაისს გამოცხადებულ ქ. ბათუმში მე-2 ზონაში (გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-3 და მე-5 პუნქტებში შეტანილ იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ*, 2009 წლის 7 მაისის 12:00 საათიდან 2009 წლის 3 ივნისის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.**

*****ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

**5. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება (დალუქვის გარეშე), ორი დახურული კონვერტით*: პირველ კონვერტში საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადებები, ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე), მეორე კონვერტში ფინანსური წინადადება და საბაზისო მონაცემთა ნუსხის 9.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე). დალუქული კონვერტები (კონვერტზე გაკეთებული შესაბამისი აღვნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 4 ივნისის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია.**

***პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნა მოხდება ალტერნატიული წესით "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-141 მუხლის შესაბამისად.**

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მიმდინარე და კაპ. შეკეთების სამუშაოები:

2. შესყიდვის ობიეწტი დაყოფილია II ლოტად

I ლოტი: ქ. საგარეჯოს N3 საჯარო სკოლის I-II სართულების კაპ. შეკეთების, სოფ. უჯარმის საჯარო სკოლის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები

II ლოტი: სოფ. მანავის საჯარო სკოლის სახურავის ფენილის შეცვლის, სოფ. ნინოწმინდის საჯარო სკოლის სახურავის ფენილის შეცვლის და სოფ. ბადიაურის საჯარო სკოლის სახურავის მოწყობის სამუშაოები.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 აგვისტომდე.

4. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ერთიანი ანგარიში საგადასახდო (საგარეჯო): ა/ნ 200122900. ს/კ. 231255129 მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი 220101222 სახაზინო კოდი 300553174: გადახდის დანიშნულება ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მიმდინარე და კაპ. შეკეთების სამუშაოები:

5. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 9 ივნისის 1500 სთ.მდე შემდეგ მისამართზე: 3800 საქართველო ქ. საგარეჯო დ. აღმაშენებლის N9, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა I სართული საფინანსო საბიუჯეტო სამსახური.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 ივნისის 1000-საათიდან 2009 წლის 10 ივნისის 1600საათამდე. Pპაკეტები გაიხსნება 2009 წლის 10 ივნისს 1600საათზე.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები (სუბკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ასევე მათ) უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**8. იურიდიული პირებისათვის:**

8.1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს სანაციის ან გაკოტრების საქმის წარმოება.

8.2. ცნობა საჯარო რეესტრიდან ყადალის არ არსებობის შესახებ.

8.3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.4. მონაწილის იურიდიული სტატუსი, საბანკო რეკვიზიტები და რეგისტრაციის ადგილი.

8.5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**9. ფიზიკური პირებისათვის**

9.1 ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

9.2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და ინდ მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

9.3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**10. როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისათვის:"**

10.1) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

10.2) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ.

10.3) სამუშაოების გასაწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულების შესახებ).

10.4) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

10.5) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადალის და ინკასოს არ არსებობის შესახებ.

11. ზემო აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული (შედგენილი), წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

12. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია, შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

13. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება და ასლი.

14. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელდება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირობებს, ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტს.

15. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ პრეტენდენტებს.

16. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

17. რეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

18. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

19. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა ტელ: 895-33-92-92 გიორგი ბეჟიტაშვილი.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს სოფელ ორბეთისა და სოფელ წინწყაროს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე.

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 22 მაისიდან (სამუშაო დღეებში) შემდეგ მისამართზე: ქ. თეთრიწყარო, მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, თამარ მეფის ქ. №34.

3. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტზე: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდენტ. კოდი №230869254 ა/ა 242987100 ს/ს საქართველოს ბანკის თ/წყაროს სერვის ცენტრი კოდი №220101502 მოსაკრებლის დანიშნულება - სკოლების რეაბილიტაციის მოსაკრებელი, სახაზინო კოდი 300083174.

4. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში ერთად) უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 11 ივნისს, 10.00 საათიდან 14.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თეთრიწყარო, მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართული, თამარ მეფის ქ. №34.
